კვირეული „ვერსია“, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

№24 (1665) 5 — 11 ივლისი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

პრემიერ-მინისტრის წლიური ანგარიშის მთავარი ეკონომიკური გზავნილები

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში!“

რატომ დაიხურა ნატო-ს ფანჯარა საქართველოსთვის

„პუტინი დასუსტებულია“ – მამუკა გამყრელიძის პოლიტიკური ანალიზი

რატომ იქცა ფონიჭალა ნარკობიზნესის ცენტრად

რას უყვება „ვერსიას“ ადგილობრივი და რატომ არ ეშინიათ დილერებს

მიხეილ სააკაშვილს „ოცნება“ არჩევნების წინ გაათავისუფლებს?!

რა კულუარული ინფორმაცია აქვს გიორგი გუგავას და აპირებენ თუ არა „ლეიბორისტები“ ვინმესთან გაერთიანებას

ბათუმში, მართლწესრიგის ოფიცრის 10 ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი გამოცხადდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის არეალის გაფართოების მიზნით, თბილისისა და რუსთავის შემდეგ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ ბათუმში, 10 ვაკანტურ პოზიციაზე, კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის ბმულია: hr.police.ge

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲜᲐᲠᲙᲝᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ 52 ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 37 ᲜᲐᲠᲙᲝᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲐ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, აჭარის, შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულის ბრალდებით 52 პირი დააკავეს, მათ შორის, 37 – ნარკორეალიზატორია.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მცდელობის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დაკავებული არიან, როგორც საქართველოს, ასევე, გერმანიის, უკრაინის, თურქეთის, რუსეთის ფედერაციის, ნიგერიის, ინდოეთისა და ირანის მოქალაქეები.

ნარკოტიკების უკანონო გასაღების და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: თურქეთის მოქალაქეები – 1991 წელს დაბადებული ფ.ქ. და 1981 წელს დაბადებული ი.ი., ინდოეთის მოქალაქე – 1999 წელს დაბადებული ა.ი., ნიგერიის მოქალაქეები – 1995 წელს დაბადებული ბ.ი. და 2002 წელს დაბადებული დ.ი., და რუსეთის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული ე.გ.

ასევე, საქართველოს მოქალაქეები – 2000 წელს დაბადებული გ.ა., 1982 წელს დაბადებული ე.გ., 2000 წელს დაბადებული ე.ზ., 1973 წელს დაბადებული ლ.თ., 1994 წელს დაბადებული ა.ს., 1993 წელს დაბადებული გ.ჩ., 1983 წელს დაბადებული გ.ბ., 1992 წელს დაბადებული ე.მ., 1976 წელს დაბადებული დ.კ., 1988 წელს დაბადებული ი.გ., 2007 წელს დაბადებული რ.ს., 1978 წელს დაბადებული კ.გ., 1998 წელს დაბადებული რ.მ., 1956 წელს დაბადებული რ.მ., 1984 წელს დაბადებული გ.ა., წარსულში ნასამართლევი პირები – 1966 წელს დაბადებული გ.ჭ., 1974 წელს დაბადებული ი.ჯ., 1974 წელს დაბადებული ზ.ხ., 1970 წელს დაბადებული მ.გ., 1970 წელს დაბადებული ა.ტ., 1993 წელს დაბადებული ს.ი., 1979 წელს დაბადებული ნ.მ., 1991 წელს დაბადებული დ.ე., 1979 წელს დაბადებული თ.ბ., 1976 წელს დაბადებული ჯ.ი., 1982 წელს დაბადებული გ.გ., 1978 წელს დაბადებული ლ.ი., 2002 წელს დაბადებული ა.ხ., 1995 წელს დაბადებული გ.ს., 1989 წელს დაბადებული ნ.გ. და 1977 წელს დაბადებული დ.კ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირებისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დაკავებულები არიან:

1988 წელს დაბადებული ნ.მ., 1990 წელს დაბადებული თ.კ., 1995 წელს დაბადებულ ჯ.ბ., 1991 წელს დაბადებული გ.ბ., უკრაინის მოქალაქეები – 1973 წელს დაბადებული მ.ბ., 1978 წელს დაბადებული მ.დ. და 1979 წელს დაბადებული ე.ჩ., გერმანიის მოქალაქე, 1976 წელს დაბადებული ტ.დ., თურქეთის მოქალაქეები – 1989 წელს დაბადებული ო.ქ., 1980 წელს დაბადებული ო.ბ., 1979 წელს დაბადებული ქ.დ. და 1991 წელს დაბადებული ე.ქ.

ასევე, ირანის მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული გ.ი., და წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1992 წელს დაბადებული დ.ლ. და 1999 წელს დაბადებული ნ.ვ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისა და გასაღების მცდელობისთვის დაკავებული პირები ნარკოტიკული საშუალებების გასაღების სქემებში იყვნენ ჩართულნი. ბრალდებულები კონკრეტულ ლოკაციებზე ანთავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, რასაც შემდგომ შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით უგზავნიდნენ ნარკოტიკული საშუალების შეძენით დაინტერესებულ პირებს.

პოლიციამ, მოსამართის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო და ვიდეო ჩაწერა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი, საცხოვრებელი ბინებისა და მათი ავტომობილების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო.

ნივთმტკიცებად ამოღებულია: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მეტამფეტამინი“, „ოპიუმი“, „პრეგაბალინი“, „ამფეტამინი“, „მდმა“, „ექსტაზი“, „ბუპრენორფინი“, „მეტადონი“, გამომშრალი „მარიხუანა“, მცენარე „კანაფი“ და სხვადასხვა სახის ფსიქოტროპული ნივთიერება.

ნარკოტიკულ საშუალებებზე დაკავებული ორი პირისგან ამოღებულია, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე, 261-ე, 262-ე და 273-ე პრიმა, 263-ე, 265-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ NATO-Ს ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ – „ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ“ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ

საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეების NATO-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში – „ზღვის მცველი“ მონაწილეობასთან დაკავშირებული შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ოპერაციაში – „ზღვის მცველი“, სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკური ქვედანაყოფების ჩართულობისა და საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებზე განთავსების წინაპირობას, რაც ამავდროულად, NATO-ს საზღვაო კომპონენტებთან ურთიერთთავსებადობის ამაღლებისა და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში საქართველოს ღირსეული წვლილის შეტანას ემსახურება. სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკურმა ჯგუფებმა წარმატებით გაიარეს ნატოს შეფასების ოთხწლიანი პროგრამა, რის შედეგადაც ალიანსმა საქართველოს NATO-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციის – „ზღვის მცველის“ ოპერაციული პარტნიორის სტატუსი მიანიჭა.

NATO-ს არაწევრი ქვეყნებიდან საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელსაც შესაბამისი ქვედანაყოფების მიერ სათანადო სერტიფიცირების დასრულების შედეგად აღნიშნული სტატუსი მიენიჭა.

საბერძნეთი იყო პირველი სახელმწიფო რომელმაც, მზაობა გამოთქვა NATO-ს ოპერაციის ფარგლებში, საკუთარი საზღვაო ძალების ხომალდებზე საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ტაქტიკური ქვედანაყოფი განეთავსებინა. მიმდინარე წელს, 16 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე, სანაპირო დაცვის 12 მოსამსახურის შემადგენლობით, დაგეგმილია ნატოს ოპერაციაში „ზღვის მცველი“ მონაწილეობა.

„ზღვის მცველი“ წარმოადგენს, NATO-ს ეგიდით, დღეისათვის მოქმედ ერთადერთ ოპერაციას, რომლის მთავარი ამოცანაა ტერორიზმთან ბრძოლა, თავისუფალი მიმოსვლის ხელშეწყობა, საზღვაო უსაფრთხოების შესაძლებლობების გაზრდა, უკანონო ეკონომიკური საქმიანობის აღკვეთა და საოპერაციო არეალში არსებული საზღვაო ვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

„გრუ“-ს სკოლა, სადაც პროფესიონალ მკვლელებს ამზადებენ

როგორ „ავერბოვკებენ“ და აზომბირებენ სპეცსამსახურები ადამიანებს – სკანდალური სიმართლე უშიშროებაზე

ვანო პავლიაშვილი

ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ჰოლივუდის რომელიმე მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარს კითხულობთ. დიახ, ცდებით, რამეთუ ის, რაზეც დღეს „ვერსია“ გიამბობთ, „უშრეტი იდეების“ მქონე სცენარისტის ფანტაზია კი არა, რეალობა, უფრო სწორად, ერთგვარი ქრესტომათიაა, რომლითაც ყველა ქვეყნისა და ჯურის სპეცსამსახურები ხელმძღვანელობენ. საერთოდ, უშიშროების ორგანოებთან ურთიერთობას ადამიანები ყოველთვის ერიდებიან. ეს „მორიდების განცდა“ განსაკუთრებით გამძაფრებული პოსტსაბჭოელებს გვაქვს, რაც გასაკვირიც არაა – იმ დროს, როცა „ერთა მძლე კავშირი ძმური“ არსებობდა, საბჭოთა „კა-გე-ბე“ არავის ინდობდა. ისე, ამბობენ, რომ რუსული უშიშროება ყველაზე ბინძური მეთოდებით მუშაობს. ამ მოსაზრებას „ვერსიის“ ინფორმატორიც იზიარებს, რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებში, სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე, არაერთი წელი იმუშავა, თუმცა კონფიდენტი აქვე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურის მთავარი ამოცანა ინფორმაციის მოპოვება და დამუშავებაა, რისთვისაც უკან არაფერზე იხევს.

„თუკი სახელმწიფო არსებობს, მას ძლიერი სპეცსამსახურიც უნდა ჰქონდეს, რადგან თავი გარეშე რისკებისგან დაიცვას. ამიტომ, პირადად მე, იმაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, რომ ადამიანი საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნავდეს, მაგრამ არცთუ იშვიათად ისეც ხდება, როდესაც სპეცსამსახური ან მისი ცალკეული წარმომადგენლები პიროვნებას კერძო, მერკანტილური მიზნებისთვის იყენებენ, რაც ჩემთვის, როგორც პროფესიონალი სპეცსამსახურელისთვის, მიუღებელია“, – აღნიშნავს „ვერსიის“ კონფიდენტი და დასძენს, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის საქართველო ერთობ მოწყვლადია.

„ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყანა რუსეთია, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოში სხვა უცხო სახელმწიფოების საიდუმლო სამსახურები არ მუშაობენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ყველა ქვეყნის საელჩო ლეგალური დაზვერვაა. მეტიც, ყველა საელჩოში, მეორე თუ არა, მესამე პირი თავისი წარმომგზავნი ქვეყნის სპეცსამსახურის ოფიციალური თანამშრომელია ანუ იმის თქმა მინდა, რომ უშიშროების ორგანოებისთვის უცხო არც დიპლომატიის საფარქვეშ მოქმედებაა, თუმცა შეიძლება, ადამიანი სპეცსამსახურის მეკავშირე და ინფორმატორი ისე იყოს, რომ ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდეს, – ეუბნება „ვერსიას“ ფარული რესპოდენტი და ამ კონტექსტში ერთ საინტერესო მინიშნებას აკეთებს, **– რასაც ახლა გეტყვით, შეიძლება, არ დაიჯეროთ და უტოპიურად მოგეჩვენოთ, მაგრამ იგივე ნაციონალების დროს, თითქმის ყველა პარტიული კოორდინატორი ფარული „შპიონი“ იყო. მართალია, ნაცმოძრაობა ხელისუფგელბაში აღარაა, მაგრამ ამ აწყობილ სისტემას დღესაც იყენებს და სადმე, რამე თუ ხდება, ნაცები პირველები, სწორედ ამ ხალხის დახმარებით იგებენ“.**

„ფარული ჯაშუშების მუშაობის სქემა“, როგორც „ვერსიასთან“ ოპერატიულ კავშირზე მყოფი სუბიექტი ამბობს, ვანო მერაბიშვილის შს მინისტრობის დროს დამუშავდა და მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: პარტიული კოორდინატორი ვალდებული იყო, რომ თავის უბანში მომხდარი ყველა ფაქტის შესახებ, კვირაში ორ-სამჯერ, პარტიის ჰედ-ოფისისთვის ეპატაკა, საიდანაც ინფორმაცია ავტომატურად ძალოვან უწყებებში მიდიოდა.

„სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იმ ყბადღებული ცხრა წლის განმავლობაში, ნაციონალები ყველას და ყველაფერს აკონტროლებდნენ. მეტსაც გეტყვით, მიშას და ვანოს სპეცსამსახურებთან ზოგიერთი სასულიერო პირიც თანამშრომლობდა. ახლა, ბუნებრივია, გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ ეს მამაოები პირდაპირ კუდ-სა თუ სოდ-თან იყვნენ კავშირზე და როგორც კი ვინმე, აღსარებაში, რამე ისეთს ეტყოდა, „რაპორტს“ მაშინვე „ზემოთ“ აგზავნიდნენ. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა, მაგალითად, წამალდამოკიდებულს თავისი სულიერი მოძღვრისთვის რაღაც ისეთი მოუყოლია. იმავე საღამოს თუ არა, მეორე დღეს კი ძალოვნებს, ვითომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სპეცოპერაცია ჩაუტარებიათ და ეს წამალდამოკიდებული დაუჭერიათ“, – აღნიშნავს „ვერსიის“ ინფორმატორი და დასძენს, რომ ადამიანის „დავერბოვკების“ სამი აპრობირებული მეთოდი არსებობს – კომპრომატები, ფული და ე.წ. პატრიოტული მოტივი.

„პიროვნების კომპრომატებით გადაბირება ყველაზე ბინძური მეთოდია. არ ვამბობ, რომ მაშინ, როცა უშიშროებაში ვმუშაობდი, არავინ „დამივერბოვკებია“-მეთქი, მაგრამ შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და გითხრათ, რომ ადამიანის კომპრომატებით დაშანტაჟებას ყოველთვის ვერიდებოდი, რადგან კომპრომატით „დავერბოვკებული“ ოპერატიული წყარო, რომელსაც ხალხი აგენტს ეძახის, სანდო არაა ანუ ის ყოველთვის ცდილობს, რომ სპეცსამსახურის მარწუხებს თავი დააღწიოს და როგორც კი ამის პატარა შანსი ეძლევა, მზად არის, „პატრონს“ „უღალატოს“, თან იმის დიდი ალბათობაც არსებობს, რომ მამხილებელი მასალებით გადაბირებული პიროვნებით უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებიც დაინტერესდნენ და ის ორმაგ აგენტად აქციონ. ისე, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში რამდენიმე ადამიანია, რომელიც თავის დროზე, რუსებზე მუშაობდა, მაგრამ „პერევერბოვკა“ პირადად გავუკეთე“, – გამოუტყდა „ვერსიას“ ფარული რესპოდენტი, რომელიც ამბობს, რომ სპეცსამსახურები, როგორც წესი, საზოგადოებისთვის აქტიური ტიპებით ინტერესდებიან. ამ მხრივ, გასაკუთრებით საინტერესოები, თურმე, ჟურნალისტები, ექსპერტები და პოლიტიკაში ჩართული პერსონები არიან.

„ჟურნალისტმა ან ექსპერტმა შეიძლება, არც კი იცოდეს, რომ სპეცსამსახურის დავალებას ასრულებს ანუ მას ინფორმაციას „შეუდგებენ“ და მერე საზოგადოების რეაქციას აკვირდებიან. ეს ზომბირების ერთ-ერთი მეთოდია.

საერთოდ, სპეცსამსახურში, თუკი ის პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, ხალხში შიშისა და მასობრივი ფსიქოზის დათესვის კუთხით, სპეციალური განყოფილება მუშაობს. სპეცსამსხურს ისიც ხელეწიფება, რომ ადამიანის გონებიდან რაღაც წაშალოს, რისთვისაც ტექნოტრონულ მეთოდებს იყენებს“, – უთხრა „ვერსიას“ პიროვნებამ, რომელსაც თავის დროზე, საქართველოს უშიშროების ორგანოებში, მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა.

რაც შეეხება „ტვინის გამორეცხვის“ ტექნოტრონულ მეთოდებს, როგორც „ვერსიის“ კონფიდენტი განმარტავს, ეს სპეციალური აპარატურისა და ჰიპნოზის გამოყენებას ნიშნავს.

„იგივე ჰიპნოზით სპეცსამსხურები მხოლოდ კონკრეტულ ადამიანზე კი არა, ადამიანთა ჯგუფებზეც, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებზე ზემოქმედებენ. სხვათა შორის, ამ კატეგორიას შეიძლება, ის პატარ-პატარა პრორუსული დაჯგუფებები მივაკუთვნოთ, რომლებიც ბოლო დროს გამოჩნდნენ... ზემოქმედების საუკეთესო საშუალებებია აუდიო-ვიზუალურ გამაღიზიანებლები, ელექტროშოკი, ულტრა და ინფრაბგერითი, ზემაღალი და ტორსული, ასევე, დარტყმითი ტალღები. ზემოქმედების აუდიო-ვიზუალური მეთოდი ისეთი ძალიან სუსტი გამაღიზიანებლების გამოყენებას გულისხმობს, რომლებიც ცნობიერად არ აღიქმება, თუმცა ადამიანის ქვეცნობიერში ღრმად აღწევს. აუდიო-ვიზუალური გამაღიზიანებელი კი შთაგონების ხერხია, რომელიც ცნობიერების მხრიდან კრიტიკას არ ექვემდებარება ანუ ცნობიერება ვერ აღიქვამს, მაგრამ ამგვარი ზემოქმედებით, აზროვნებისა და ქცევის საჭირო მიმართულებით სათანადო ორიენტირებაა შესაძლებელი“, – უხსნის „ვერსიას“ ინკოგნიტო რესპოდენტი და დასძენს, რომ აუდიო-ვიზუალურ ზემოქმედებას ყველაზე ადვილად კეთილი ადამიანები ექვემდებარებიან.

დასასრული მე-15 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილს „ოცნება“ არჩევნების წინ გაათავისუფლებს?!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა კულუარული ინფორმაცია აქვს გიორგი გუგავას და აპირებენ თუ არა „ლეიბორისტები“ ვინმესთან გაერთიანებას

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე, „ვერსია“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გუგავასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– ბატონო გიორგი, პარლამენტი საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე პრეზიდენტის შენიშვნებს განიხილავს... როგორ აფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს, რა მხრივ აქტიურობთ და ემზადებით თუ არა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის?

– როცა ვამბობთ, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია ავტორიტარული რეჟიმი, როგორც წესი, ასეთი რეჟიმები თავისუფალ, სამართლიან არჩევნებს არ ატარებენ. ამის მწარე გამოცდილება გვაქვს და კვლავ ემზადება ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოებაში სოციალური დასაყრდენი არ გააჩნია გაყალბებისთვის. ამაში ჩართულია მთელი სტრუქტურა. ამ გაყალბების მთავარი „დიროჟორი“ სუს-ია, იქიდან კოორდინირდება, ქუჩის კრიმინალიტეტი რომ გამოჰყავთ ხოლმე, იქამდე, მთლიანად – ეს არის არჩევნების გაყალბების მექანიზმი. ამას დამატებული ბიუროკრატია, რომელიც „შესმული ჰყავთ“ საბიუჯეტო სახსრებზე. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე ელოდება, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, ცდება. ეს გამორიცხულია და სამიზნე უნდა იყოს რეჟიმის მეთაური, მისი დასანქცირება. აქ დასავლეთის მხარდაჭერა გვჭირდება და ამას ემსახურებოდა ჩვენი პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის მნიშვნელოვანი ვიზიტი აშშ-ში. შეხვედრები კონგრესში, სენატში იმ პირებთან, რომლებიც ჩვენს რეგიონზე განსაზღვრავენ სამოკავშირეო პოლიტიკას.

ვიზიტი ემსახურებოდა იმასაც, რომ მივაღწიოთ მიზანს – რეჟიმის „სასიკვდილო დარტყმა“ მოხდეს სანქცირების სახით. თუ მისი სანქცირება არ მოხდა, აქ რაც უნდა გააკეთოს და სამწუხაროდ, საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტში შესვლის დღიდან დღემდე, „სასარგებლო იდიოტის“ როლს თამაშობს ხელისუფლებისთვის, მხოლოდ მის პოზიციებს აძლიერებს შეგნებულად, თუ შეუგნებლად. მაინც ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს, შეუგნებლად არ არის და გარკვეულ სხვა ინტერესებთანაა დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე, ამისკენ ვართ მიმართული, რომ მოხდეს რეჟიმის სანქცირება, რათა მივიღოთ ოდნავ თავისუფალი არჩევნების შესაძლებლობა, რომლის მეშვეობითაც შეიცვლება არსებული რეჟიმი.

– გარდა იმისა, რომ „სასარგებლო იდიოტს“ უწოდებთ ოპიზიციას, დიდი ხანია, მწვავედ აკრიტიკებთ კოლეგებს... ბოლო დროს, ოპოზიცია გაერთიანების ინიციატივით გამოდის. ლელო და ნაციონალური მოძრაობა აცხადებენ, რომ მზად არიან, დიდი გაერთიანების პლატფორმა გახდნენ... თქვენი პარტია, ამ მხრივ, რამე მოლაპარაკებას აწარმოებს?

– ეს გაერთიანების თემა შირმად არის გამოყენებული, სინამდვილეში, ესენი არიან პოლიტიკოსი „კალკულატორები“, რომლებიც ცდილობენ, ამ გადაანგარიშებით, საკუთარი თავი რომელიღაც ალიანსსა თუ გაერთიანებაში მოახვედრონ, რათა კვლავ აღმოჩნდნენ პარლამენტში და გააგრძელონ იგივე პოლიტიკა. ამას ემსახურება ეს და არა იმას, რომ ხელისუფლება შეიცვალოს.

არსებობდა გაერთიანების ფორმატი ბოიკოტირების, „ლეიბორისტების ფანჩატურის“ სახელით ცნობილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვნახეთ, კრიტიკულ სიტუაციაში როგორ მოიქცა ეს ე.წ. პრინციპული ოპოზიცია და ეს იდეა, პირობა როგორ გაყიდეს, ფეხებზე დაიკიდეს და შევიდნენ პარლამენტში, რითაც მოხდა ლეგიტიმაცია რეჟიმის, გაყალბებული არჩევნების და მას შემდეგ, რა უბედურებებიც ხდება და ეს განსაკუთრებით უკრაინის ომის შემდეგ გამოჩნდა, გარკვეული პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც აკისრია. ამიტომ, მათი ვიშ-ვიში, ქადაგად დავარდნა გაერთიანების შესახებ, ერთადერთ მიზანს ემსახურება – რამენაირად, რომელიმე ბლოკსა თუ გაერთიანებაში ამოჰყონ თავი და შეძვრნენ ისევ პარლამენტში.

მზად არიან, კვლავ „გაუპრავონ“ ნებისმიერი გაყალბებული არჩევნები რეჟიმს, მათ ეს როლი მოსწონთ. აქედან გამომდინარე, ასეთ ყალბ, ფარისევლურ გაერთიანებებში ჩვენ თავს ვერ ვხედავთ. გარდა ამ მოტივაციისა, აბსოლუტურად განსხვავებული იდეოლოგიური პლატფორმა გაგვაჩნია ყველა პარტიისგან. ჩვენ ერთადერთი ძალა ვართ, რომელიც დაფუძნებულია ორ მთავარ იდეოლოგიურ ღერძზე – ეროვნულ ინტერესებსა და სოციალური სამართლიანობის პრინციპზე. სხვა ყველა ლიბერტარიანული ეკონომიკური პოლიტიკის მიმდევრები არიან, ოლიგარქატია ორივე მხარეს და ჩვენი პარტია ერთადერთია, რომელიც დაფუძნებულია სოციალური თანასწორობის საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპებზე. გვინდა, რომ სახელმწიფოს სიკეთე ნაწილდებოდეს სამართლიანად საზოგადოების ყველა ფენაზე და არ გვყავდეს მდიდრების 5%, რომელსაც ხელში აქვს ჩაგდებული ფინანსები, ეკონომიკა, ბიზნესი, პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო დანარჩენილი უფლებააყრილი მონების ფორმატში ვიყოთ. თანამედროვე სახელმწიფოები დაფუძნებულია, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობების თანასწორობაზე და სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება ამ ქვეყანაში ეს, მანამდე ამ ქვეყანას განვითარება არ უწერია.

– გასაგებია, მაგრამ არ ფიქრობთ, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად ასპარეზობის შემთხვევაში, ბარიერის გადალახვა გაგიჭირდებათ?

– ლეიბორისტულ პარტიას ბარიერის გადალახვის პრობლემა არც ერთ ეტაპზე არ ედგა. ჩვენი მთავარი გამოწვევა სამართლიანი არჩევნებია. თუ ოდნავ სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, ჩვენს პარტიას ორნიშნა რეიტინგი გააჩნია...

– გარდა სანქცირებისა, რა გეგმაზე მუშაობთ. თქვენს წილ პასუხისმგებლობას სად ხედავთ სამართლიანი არჩევნების მისაღწევად?

– თუ მოხდება რეჟიმის სანქცირება, ეს ფსიქოლოგიურად გარდატეხს საზოგადოებას და გააჩენს რწმენას, რომ შესაძლებელია არჩევნების გზით რეჟიმის დამარცხება. შიდა აქციებიც აუცილებელია, რათა რეჟიმს „მიწა ბოლომდე მივაყაროთ“ ანუ „გარედან სანქციები, შიგნით – აქციები“, ეს ფორმულა იმუშავებს.

– მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ქართულ პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით, როგორ აფასებთ? თქვენი ხედვით, მისი გააქტიურება რა როლს შეასრულებს ოპოზიციის ფლანგზე, წინასაარჩევნოდ?

– ჩემი მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, ყოველთვის მიჭირს პატიმარ ადამიანზე უარყოფით კონტექსტში საუბარი. ერთი რამ შემიძლია გითხრათ, ის არის პოლიტპატიმარი და ამის გამო, უნდა გათავისუფლდეს. მაგრამ გეტყვით კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს – ხელისუფლებლებას სჭირდება ორპოლუსიანობა, დაპირისპირება „ნაცებთან“. 11 წელია, ამით სულდგმულობს, რომ იმ პრობლემებიდან, როცა თავისუფლებას ვკარგავთ, რეჟიმი გვაბრუნებს რუსულ იმპერიულ „გვამში“ და გვაქვს უმძიმესი ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემები, გადართოს ხალხი. მას სჭირდება მეორე პოლუსი – ნაციონალების სახით და ცდილობს, ეს პოლუსი გააძლიეროს. დიდი ეჭვი მაქვს, ხელისუფლების განზრახვა იყოს, არჩევნების წინ გაათავისუფლონ მიხეილ სააკაშვილი, რომ ეს პოლარიზაცია კვლავ შედგეს და ამ ფორმატში შეეცადოს არჩევნების მოგებას.

– ეს თქვენი ვარაუდია, თუ რამე ინფორმაციას ფლობთ, თუნდაც კულუარულად?

– ეს არის დასაბუთებული ინფორმაცია და ანალიზის შედეგად წამოყენებული თეზა. მათ სჭირდებათ ორპოლუსიანობის გაძლიერება...

– თუ მართლაც ასე მოხდა და არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილი გაათავისუფლეს, რას შეცვლის ეს, პოლიტიკური თვალსაზრისით?

– შეეცდებიან, იგივე „კარტი“ გაათამაშონ, რაც გამოიყენეს უკვე ჩატარებულ მრავალ არჩევნებში, რომ „ჩვენ კი, კორუმპირებულები ვართ, მაგრამ უარესი მოდის“. ასეთ დროს, საზოგადოების საკმაოდ სოლიდურ ნაწილში ამოქმედდება ხოლმე ის ინსტიქტი, რომ წინა რეჟიმმა გარკვეული ზარალი მიაყენა და ოღონდ ისინი არ დაბრუნდნენ და ჯანდაბას, ისევ ესენი იყვნენ...

– ასეთი პოლარიზაციის განსამუხტად თქვენს ანუ ე.წ. შუაშისტური პარტიების პასუხისმგებლობას სად ხედავთ?

– ეს ცნება საერთოდ არ მომწონს. თუ თავს „შუაშისტურს“ ვუწოდებთ, გამოდის, რომ ვაძლიერებთ იმ ორ პოლუსს, არადა, რეალურად, შინაარსით, ეს არის ერთი პოლუსი. მეორე პოლუსი კი არის ხალხი. ჩვენ კი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს გამოვხატავთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს მახინჯი პოლიტიკური სისტემა დაიმსხვრეს. სხვაგავრად, ჩვენს ქვეყანას ემუქრება ეგზისტენციალური საფრთხე.

რატომ დაიხურა ნატო-ს ფანჯარა საქართველოსთვის

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„პუტინი დასუსტებულია“ – მამუკა გამყრელიძის პოლიტიკური ანალიზი

რუსეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე, „ვერსია“ დიპლომატ და პარტია ევროპელი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერ მამუკა გამყრელიძეს ესაუბრება.

– ბატონო მამუკა, რას ნიშნავდა პრიგოჟინის „ვაგნერის“ მოსკოვისკენ „გასეირნება“ და გახდება თუ არა ეს მოვლენა პუტინისთვის გადამწყვეტი?

– უამრავი სხვადასხვა მოსაზრება წავიკითხე, როგორც რუსი, ასევე, უცხოელი და უკრაინელი ექსპერტების. აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები ჟღერდება, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არავინ იცის, რეალურად რა მოხდა. შეგვიძლია, მხოლოდ ჩვენი შეხედულება და აზრი გამოვთქვათ. მიზეზს კი არ უნდა ვანიჭებდეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, არამედ, შედეგს და ეს შედეგი ერთმნიშვნელოვნად ისაა, რომ პუტინის რეჟიმი აშკარად დასუსტდა. გამოჩნდა მისი უუნარობა და ის, რომ მოულოდნელი ეფექტები ძალიან ცუდად მოქმედებს ამ რეჟიმზე. უპირველეს ყოვლისა ის, რომ შიდა დაპირისპირება ძალიან აშკარად გამოიკვეთა.

პრიგოჟინის მხარდამჭერი ჯგუფი იყო თავდაცვის სამინისტროს გენერალიტეტი, რომელიც შოიგუმდე მყოფმა მინისტრმა, სერდიუკოვმა დააწინაურა. ეს ხალხი უფრო აქტიურადაა განწყობილი ცვლილებების მიმართ, ვიდრე შოიგუს „დაჭაობებული“ გარემოცვა. ამიტომ, ხალხი შიგნიდან პრიგოჟინს უჭერდა მხარს და ჩართული იყო ამ საკითხებში.

პრიგოჟინის „ვაგნერზე“ რომ ამბობენ, პატიმრებითაა დაკომპლექტებულიო, ეს მცირე ნაწილია უზარმაზარი არმიისა, რომელიც მხოლოდ უკრაინაში არ არის. რამდენადაც ვიცი, 25 000 კაცი ჰყავს აფრიკაშიმ, ეს არის უმაღლეს დონეზე მომზადებული „გე-რე-უ“-ს სპეცრაზმი, რომელსაც არაჩვეულებრივი წვრთნები აქვს გავლილი და ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილია რუსეთის ჯარის. „გე-რე-უ“ თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის და როგორც ჩანს, ეს ნაწილიც მის მხარეს იყო. იქ რაღაც წინააღმდეგობა იყო კრემლის იმ ნაწილთან, რომელსაც სპეცსამსახურების ხელმძღვანელი, მაგალითად, პატრუშევი და იგივე პუტინი ხელმძღვანელობს... მოკლედ, რამდენიმე კლანია...

საბოლოო ჯამში, ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ რაღაც მოლაპარაკება მოხდა და დასუსტებულია პუტინი. მან თავად ვერც კი მოახერხა პრიგოჟინთან დალაპარაკება, არ ვიცი, შეეშინდა, თუ არ იკადრა. მიუხედავად იმისა, რომ პუტინი პირადად უწევდა მენტორობას პრიგოჟინს მთელი ამ წლების განმავლობაში...

– დიახ, პრიგოჟნს პუტინის „მზარეულსაც“ კი ეძახიან...

– ამის მიუხედავად, პუტინი იძულებული გახდა, ჩარევა ეთხოვა ლუკაშენკოსთვის. მანამდე სთხოვა ჩარევა ყაზახეთისა და თურქეთის პრეზიდენტებს, საიდანაც სასტიკი უარი მიიღო. რეალურად გამოჩნდა, რომ პუტინი მარტო დარჩა. ლუკაშენკო ერთმნიშვნელოვნად მოგებულია, რადგან ეს სიტუაცია გამოიყენა, რომ გაძლიერდეს, მათ შორის, პოლიტიკურად... ლუკაშენკოს ახლა ხელ-ფეხი ეხსნება, რათა დაიწყოს მოლაპარაკებები დასავლეთთან. ყოველთვის, როგორც კი რუსეთის წნეხი მასზე მოიხსნებოდა, იწყებდა დასავლეთთან მოლაპარაკებებს და ლავირებდა. წარმოიდგინეთ, ლუკაშენკოს ორჯერ მეტი დრო აქვს გატარებული პირველი პირის სავარძელში, ვიდრე პუტინს – გამოცდილება აქვს კოლოსარული.

– ბატონო მამუკა, მომხდარის ფონზე, რუსეთში პროცესების როგორ განვითარებას პროგნოზირებთ?

– ჩემი აზრით, 2024 წლის მარტის არჩევნებში, პუტინი, დიდი ალბათობით, ვეღარ გავა. მას სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება და ეს უკვე აღარ გააჩნია. ამასთან, კარგად ვიცით, რომ იქ არიან ჩასაფრებულები, მაგალითად, პატრუშევი, რომელიც წლებია, ცდილობს, საკუთარი შვილი პუტინის მემკვიდრედ დატოვოს. სოფლის მეურნეობის მინისტრია ეს ახალგაზრდა კაცი და მამა მაქსიმალურად ცდილობს, მის გაპიარებას, როგორც მედასავლეთე პოლიტიკოსის... რუსეთში ასევე არიან სხვა პიროვნებები, იგივე მიშუსტინი – პრემიერი, რომელიც ოფიციალურად, მეორე პირია რუსეთში... ასევე, კირიენკო, რომელიც ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეა და ობობას ქსელივით აქვს „დახლართული“ მთელი კრემლი. დიდი ხნის მაღალჩინოსანი, ძალიან ჭკვიანი და მოხერხებულია... მოკლედ, სხვადასხვა ვარიანტია მოვლენების განვითარების.

მეორე მხრივ, ვხედავ ერთ არასასიამოვნო მომენტს დასავლეთიდან. ეს არის შოლცის გამოსვლა და ამერიკულ გამოცემებში გაჟონილი ინფორმაცია, რომ ამერიკელები ცდილობდნენ, უკრაინელებისთვის ეთხოვათ, არ გაემწვავებინათ სიტუაცია და არ დაერტყათ რუსეთისთვისვის მაშინ, როცა პრიგოჟინის იერიში ხორციელდებოდა. შოლცმა თქვა, სჯობს, დარჩეს პუტინი, ვიდრე ვიღაც გაუგებარი კაცი მოვიდესო. დასავლეთს ძალიან ეშინია, რომ პუტინის წასვლამ შეიძლება გამოიწვიოს ცენტრიდანული პროცესები, რომელიც უკვე გამოჩნდა, როცა ბაშკირეთის რესპუბლიკაში წამოიწია ნაციონალისტურმა მოძრაობამ და ცალკე გასვლაზე დაიწყეს ლაპარაკი. იგივე შეიძლება მოხდეს სათათრეთში და ჩრდილო კავკასიაშიც... ეს არის საფრთხილო პროცესები დასავლეთისთვის და ფაქტია, რომ დასავლეთი არ არის ჩამოყალიბებული პოზიციაში. ამიტომ მეშინია, ისე არ მოხდეს, რომ ხელი შეუწყონ...

– პუტინის რეჟიმის დარჩენას?

– დიახ... რასაც ვუყურებ, დასავლეთის მიზანია, ისე გაიწელოს ეს ომი, რომ მაქსიმალურად დასუსტდეს რუსეთი და შემდეგ მოხდეს რეჟიმის შეცვლა და დენუკლიარიზაცია ანუ საფრთხეები სამუდამოდ გაქრეს რუსეთიდან. ჩემი აზრით, ეს ინფანტილური სურვილია, თუმცა ვნახოთ, რა იქნება... გამოცდილება აჩვენებს, რომ რუსეთს თუ არ „მოახრჩობ“, გაწელვა და კონსერვირება მასთან ურთიერთობისა არაფერს იძლევა. საბოლოოდ, ისევ აგრესიული ხდება და აგრესიულად გიტრიალდება, ამიტომ იდეალური იქნებოდა დენუკლიარიზაციის მოხდენა.

– „პრიგოჟინის გასეირნება“, როგორც ჩანს, იყო კლანთა დაპირისპირების ზედაპირზე ამოტანა, რამაც გააშიშვლა და თვალხილული გახადა რუსეთში მიმდინარე პროცესები...

– დაპირისპირება რომ იყო სიღრმეში, ეს ვიცოდით, მაგრამ დიახ, ეს ძალიან აშკარად გამოჩნდა...

– თავისი „ვაგნერით“ ბელარუსში წასული პრიგოჟინი, არის თუ არა იმ პროცესების „მიძინებული ნაღმი“, რომელიც ახლო მომავალში, შესაძლოა, ისევ ამოქმედდეს?

– აღარ მგონია. ვფიქრობ, პრიგოჟინმა თავისი როლი შეასრულა და ახლა შეეცდება, საკუთარი ქონების გადარჩენას. ის ჰყიდის რაღაც ქონებას რუსეთში... წლების განმავლობაში, იმ ჯგუფების ხელმძღვანელი იყო, რომლებიც ახორციელებდნენ შეტევას ინტერნეტსივრცეში. აუარებელი „ბოტების ფაბრიკა“ აქვს ამ კაცს და ყველაზე დიდი თანხა, სწორედ ამ მიმართულებით იხარჯებოდა.

– ჰიბრიდულ ომში, არა?

– დიახ. მისი მონაწილეობა აშკარად გამოჩნდა აშშ-ის არჩევნებში. ამის დათმობა, როგორც ამბობენ, არ უნდა. ბოლო-ბოლო, ალბათ, აფრიკაში მოუწევს გადასვლა, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარდა ამისა, მას შეკვეთები აქვს სამხრეთ ამერიკაში, სადაც თავისი ამ გასამხედროებული ჯგუფით, გარკვეულ მოქმედებებს ახორციელებს, მაგრამ რუსეთში, მგონია, რომ აღარაფერი ესაქმება. ის დასაყრდენი გენშტაბში აღარ ეყოლება...

– ვილნიუსის სამიტი მოახლოვდა და დიდი მოლოდინია, რას გადაწყვეტენ ნატო-ს ქვეყნები უკრაინასთან დაკავშირებით. მოდით, საქართველოც ვახსენოთ ამ კონტექსტში – რა შესაძლებლობა შეიძლება გაიხსნას ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, დასუსტებული პუტინის რეჟიმის პირობებში, უკრაინისთვის და საქართველოსთვის?

– უპირველეს ყოვლისა, ვეთანხმები საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას, რომ დღეს ნატო-სთან მოლაპარაკების ფანჯარა აღარ გვაქვს. ეს იყო სწორი განცხადება, რადგან არ შეიძლება, თავის მოტყუება. ამ ქალბატონმა, ამ განცხადებით გვაჩვენა, რომ მოლაპარაკების ფანჯარა გვაქვს ევროკავშირთან მიმართებაში, მაგრამ ნატო-სთან მიმართებაში ეს არ არსებობს.

რაც შეეხება ნატო-ს, უკვე ორი წელია, რაც სტოლტენბერგს გენერალური მდივნის უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. ერთხელ უკვე გაუგრძელეს... ამ პოსტზე ყველაზე აქტიური კანდიდატები არიან ბრიტანელები – ტერეზა მეიდან დაწყებული, თავად ბორის ჯონსონით დამთავრებული, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას ამ პოზიციაზე. რას უნდა დავაბრალოთ, რომ ერთხელ უკვე გაუგრძელეს ვადა სტოლტენბერგს, რომელიც უკვე დანიშნულია ნორვეგიის ეროვნული ბანკის თავმჯდომარედ და ახლა, ვილნიუსის სამიტის წინ, კიდევ მეორედ გაუგრძელეს უფლებსამოსილება? რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ არ უნდათ, ბრიტანელი მოვიდეს ნატო-ს სათავეში?

– ე.ი. აშშ არ უთმობს პოზიციას დიდ ბრიტანეთს?

– დიახ. აშშ-ს თავისი პრობლემები აქვს, რადგან ევროპა მუდმივად ცდილობს, ახალი სისტემის შექმნას. ბრიტანელებიც ცდილობდნენ და ფრანგებიც... მაკრონმა ცოტა ხნის წინ ჩინეთში ხმაურიანი განცხადებები გააკეთა. შემდეგ ბრატისლავაში ჩავიდა, სადაც, პრაქტიკულად, სრულიად ახალი სისტემის შექმნაზე ილაპარაკა აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებაში და ჰოპ, ამოუტრიალეს სიტუაცია და ვხედავთ, რა მდგომარეობაშია მაკრონი, როგორ შეუყენეს წყალი. შეიძლება, ეს ინსინუაცია და ყურით მოთრეული ფაქტებია, მაგრამ დავინახეთ, რა დაემართა ჯონსონს, როგორც კი დამოუკიდებლად თამაში დაიწყო, ახლა მაკრონიც იგივე დღეშია.

მოკლედ, გასაგებია, რომ სტოლტენბერგი დარჩება და მის პირობებში, ჩვენ იმედი არ უნდა გვქონდეს. ზელენსკიმ მოიარა ევროპა, 21 დედაქალაქში იყო, თუმცა 10 დედაქალაქი არ მისცემს ამის საშუალებას, ნატო-ში კი კონსენსუსია საჭირო. თუ ერთიც კი უარზე იქნება, გამორიცხულია, უკრაინა მიიღონ, ან ომის მერეც შეიძლება დიდი კითხვის ნიშანი იყოს... ჩვენ ისიც არ ვიცით, ომი როგორ დამთავრდება და დასავლეთი როგორ განიხილავს უკრაინის გამარჯვებას, რას თვლის გამარჯვებად...

– საქართველოსთან დაკავშირებითაც, ამ მხრივ, არაფერს უნდა ველოდოთ, არა?

– ჩვენ ახლა ვართ სრულ „აუტში“... დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, მაგრამ თუ მოგვცემენ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, ესეც იქნება ძალიან მძიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროკავშირისთვის ერთადერთი მიზნით, როგორმე, არ ჩაუჭრან ძაფები საქართველოს, რითაც დაკავშირებულია ევროკავშირთან. შემდგომში იქნება ვალდებულებები, მათზე მონიტორინგი და როგორ მოიქცევა საქართველოს მთავრობა, ესეც კითხვის ნიშნის ქვეშაა. ეს, ჩემი აზრით, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მოხდება რუსეთის 2024 წლის მარტის არჩევნებში. თუ მოვა ახალი ხელმძღვანელი რუსეთში, პირობას გაძლევთ, ახალი ხელმძღვანელი ყოველთვის იწყებს ევროპასთან შერბილებულ პოლიტიკას, მაქსიმუმ, ხუთი წელი მაინც. ეს პერიოდი უნდა გამოიყენოს საქართველომ ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მსვლელობის გასაძლიერებლად. თუ რუსეთში ხელმძღვანელი არ შეიცვლება, მივიღებთ იგივე შეხლა-შემოხლას პარლამენტში, რაც ახლა გვაქვს.

რა ქონებას ფლობს პუტინის „მზარეული“

მაკა რუხაძე

... 2023 წლის 23 ივნისი. ევგენი პრიგოჟინმა გაავრცელა ინფორმაცია „ვაგნერის“ მებრძოლებზე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯარების თავდასხმის შესახებ და აჯანყება წამოიწყო, რასაც „სამართლიანობის მარში“ უწოდა. 24 ივნისს, დაქირავებულმა ჯარებმა დაიკავეს დონის როსტოვის ცენტრი, სამხედრო ობიექტები და მოსკოვისკენ აპირებდნენ სვლის გაგრძელებას. იმავე საღამოს, ბელორუსის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს შუამავლობით გაიმართა მოლაპარაკებები, რა დროსაც მიღწეულ იქნა შეთანხმება დეესკალაციის შესახებ. პრიგოჟინმა უკან დაიხია...

იმის მიუხედავად, რომ პუტინის მარჯვენა ხელის ერთდღიან დემარშს საქართველოს ოპოზიციაში დიდი აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა მოჰყვა, რაც პუტინის რეჟიმის დასრულების დაუოკებელი წყურვილით იყო განპირობებული, ამ საყოველთაო „აღტყინებაში“ მარტივი ჭეშმარიტება გამოგვრჩა – დაუპირისპირდება თუ არა, ან დაამხობს თუ არა პუტინს, პრიგოჟინი პირსისხლიანი „ვაგნერელების“ სულისჩამდგმელი და ფინანსური მხარდამჭერია. იმ „ვაგნერელების“, რომლებმაც არა მარტო გადაწვეს უკრაინული ქალაქები და დახოცეს უდანაშაულო მოსახლეობა, არამედ – გააუპატიურეს ქალები და ბავშვები... ჰოდა, ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენი მტრის მტერი, ჩვენი მეგობარი ვერ იქნება და არც უნდა იყოს!

„ვერსია“ პუტინთან დაახლოებული „მზარეულის“, მისი მარჯვენა ხელისა და ევროპა-ამერიკა-კანადა-იაპონიისგან სანქცირებული ევგენი პრიგოჟინის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ.

რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ევგენი პრიგოჟინმა კვების ბიზნესი 1990-იან წლებში, ჰოთ-დოგების გაყიდვით დაიწყო. ამის შემდეგ, ჯერ რესტორატორი, ხოლო მოგვიანებით – სურსათით მომარაგების კომპანია Concord-ის მფლობელი გახდა. ეს კომპანია „ვაგნერ ჯგუფის“ დედა-კომპანიად ითვლება.

შარშან, საინფორმაციო ვებ-გვერდმა – Meduza, აღმოაჩინა სასამართლოს 1981 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც პრიგოჟინი მაშნდელი ლენინგრადის ციხეში გაგზავნეს. 1980 წლის მარტში, პრიგოჟინმა ქალი გაძარცვა, რომელსაც ჩექმები და ოქროს საყურეები წაართვა და გონების დაკარგვამდე გაგუდა. ამასთან, პრიგოჟინს გაქურდული აქვს მრავალი სახლი, საიდანაც მოპარულ ნივთებს შორის, ასახელებენ მაგნიტოფონს, ორ ხალიჩას და ისეთ წვრილმანებსაც კი, როგორიცაა ავტომობილის საჭის ჩიხოლი. მეტიც, „ჯინსებისა“ და სხვა დეფიციტური საქონლის შეძენის საბაბით, პრიგოჟინმა მოქალაქეს მოტყუებით 250 რუბლი გამოსძალა. ყველა ამ საქმეზე პრიგოჟინი გაასამართლეს და ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რაც ბოლომდე მოიხადა.

საბოლოოდ, ციხე 1990 წელს დატოვა, როცა სანკტ-პეტერბურგის სასურსათო ბიზნესში მისი აღზევების ხანა დაიწყო: პრიგოჟინი ჯერ ძეხვების საბითუმო გამყიდველი იყო, შემდეგ – ჰოთ-დოგის ურიკების ქსელს ფლობდა. იმ დროს, 1991 წელს, სსრკ-ის ნგრევით გამოწვეული დისფუნქციის ფონზე, სანკტ-პეტერბურგი ორგანიზებული დანაშაულის ოაზისად იქცა. სხვათა შორის, ერთხელ, პრიგოჟინმა ისიც კი თქვა, რომ თითო ჯიხურის დაცვაში, რუსულ მაფიას 100 დოლარს უხდიდა.

პრიგოჟინი წინ სწრაფად მიიწევდა და ქალაქში პირველი სასურსათო მაღაზიების ქსელ „კონტრასტის“ თანამფლობელი და მმართველი გახდა. ამის შემდეგ, რესტორნების ბიზნესში გადავიდა, რაც მისი კვების ბიზნესის იმპერიის დასაწყისი გახდა. 2001 წლის ზაფხულში, პრეზიდენტის პოსტზე ახლადარჩეულმა პუტინმა, რომელსაც იმ პერიოდში, დასავლეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, საფრანგეთის პრეზიდენტი, ჟაკ შირაკი პრიგოჟინის რესტორანში წაიყვანა. Daily Mail-ის ცნობით, პრიგოჟინმა თითოეული სტუმარი საკუთარი „ხუმრობებითა და ხელსახოცების ოსტატური მიტანით“ მოხიბლა. სწორე ამის შემდეგ, ის „პუტინის მზარეული“ ხდება.

2023 წლის 23 ივნისამდე, კომპანია Concord-ის საშუალებით, პრიგოჟინი პუტინის ყველაზე დიდი მოკავშირე იყო. Concord – სურსათის მომარაგების კომპანიაა, რომელიც რუსეთის მთავრობის „შინაური“ კომპანია გახდა. Concord-მა და მასთან დაკავშირებულმა სუბიექტებმა 3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო კონტრაქტები მიიღეს, რაც სამხედრო და სახელმწიფო დაწესებულებების გარდა, მოსკოვის სკოლების საკვები პროდუქტებით მომარაგებასაც ითვალისწინებდა. 2018 წელს. პრიგოჟინის პროდუქტებით რამდენიმე ბავშვი მოიწამლა, ხოლო 2019 წელს, Concord-ის წინააღმდეგ, უამრავმა მშობელმა სარჩელი შეიტანა.

Concord – რუსული არმიის მთავარი მიმწოდებელია და უკრაინაში რუსი სამხედროების MRE-ები (Meal, Ready-To-Eat) ანუ მზა სამხედრო რაციონი, რომელსაც ვადა 2015 წელს გაუვიდა, შესაძლოა, პრიგოჟინთან იყოს დაკავშირებული.

ყველაფერი, რასაც პრიგოჟინი აკეთებს, Concord-ს უკავშირდება. მაგალითად, იურიდიული პირი, სახელწოდებით – „ვაგნერი“ არ არსებობს. „ვაგნერის“ დაქირავებულ მებრძოლებს ფულს Concord-თან დაკავშირებული ფორმალური კომპანიები უხდიან. გლობალურ კონფლიქტების შემსწავლელი არასამთავრობო ორგანიზაცია C4ADS, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა პრიგოჟინსა და „ვაგნერის ჯგუფს“, წერს, რომ **„პრიგოჟინმა მართლაც ჩახლართული კომპანიების უზარმაზარი ქოლგა შექმნა, რომელთა უმეტესობაც Concord Catering-ს უკავშირდება“.** ასევე, ჩახლართული და ბუნდოვანია პრიგოჟინის იურიდიული კავშირი ამ კომპანიასთან, რასაც თავად პუტინიც უწყობს ხელს, როცა აცხადებს, რომ **„პრიგოჟინს საკუთარ მეგობრად არ თვლის“.**

სახელი „ვაგნერი“, თავდაპირველად, 2014 წელს გაჩნდა, როცა რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინაში შეიჭრა. მას შემდეგ „ვაგნერის“ დაქირავებულები იბრძოდნენ და სასტიკ დანაშაულებებს სჩადიოდნენ სირიასა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

ივნისში, „როსრეესტრმა“ პირველად გაავრცელა ინფორმაცია ევგენი პრიგოჟინის ქონების შესახებ. საუბარია მის ქონებაზე გელენჯიკთან, პუტინის სასახლის მახლობლად მდებარე უძრავ ქონებაზე, რომლის მშენებლობისთვის, წითელ წიგნში შეტანილი ხეები გაჩეხეს, ხოლო ეკოლოგები ავტომატებით დაარბიეს. მიწის ფართობი, დაახლოებით, 39 000 კვადრატული მეტრია და შავი ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზე, პრასკოვეევკაში, პუტინის სასახლიდან 25 კილომეტრში მდებარეობს. გრანდიოზული მშენებლობა 2015 წელს დაიწყო, მანამდე კი იქ მხოლოდ ტყე იყო. სატელიტურ სურათებზე ეს ფართობი ამჟამად მდიდრულ საკუთრებად გამოიყურება, სადაც რამდენიმე დიდი შენობა, მანქანები და საცურაო აუზები ჩანს. ჯერ კიდევ 2016 წელს, რუსული მედია წერდა, რომ ფართობი კომპანია Turstatus-ს ეკუთვნოდა, რომლის ერთ-ერთი მფლობელიც „პუტინის მზარეულის“ ცოლი, ლიუბოვ პრიგოჟინა იყო, ხოლო სოციალურ ქსელებში, პრიგოჟინის ბავშვებმა ფოტოები ამ ადგილის ჰეშთეგებით გამოაქვეყნეს.

და მაინც, რა ქონებას ფლობს „პუტინის ნზარეული. რუსულ წყაროებზე, კერძოდ, გამოცემა „ბიზნეს პეტერბურგზე“ დაყრდნობით ირკვევა, რომ ევგენი პრიგოჟინის ფინანსური მდგომარეობა 11 მილიარდ რუსულ რუბლად ანუ 186 572 462 აშშ დოლარადაა შეფასებული. 2016 წელს გამოქვეყნებული მასალებით ვიგებთ, რომ ბიზნესმენს 37.4 მეტრის სიგრძის იახტა – ST VITAMIN ეკუთვნის, რომლის ინტერიერი „ვერსაჩეს“ სტილშია შესრულებული. გემი პრიგოჟინმა 2014 წელს, 5 მილიონ ევროდ შეიძინა. პრიგოჟინი ფლობს თვითმფრინავ Raytheon HAWKER 800 XP C/N 25 8512-ს, რომლის ღირებულება 2 მილიონ აშშ დოლარზე მეტია. პრიგოჟინის ოჯახი ძვირადღირებული უამრავი ქონების მფლობელია. Concord-მა, რომელიც მაშინ ევგენი პრიგოჟინის დედის, ვიოლეტა კიროვნას სახელზე იყო გაფორმებული, სანკტ-პეტერბურგში, ელიტარული საცხოვრებელი კომპლექსი – „ჩრდილოეთ ვერსალი“ ააშენა. კომპლექსი 45 სახლისგან შედგება. დასახლება „ჩრდილოეთ ვერსალში“, პრიგოჟინისა და მისი ქალიშვილის კუთვნილ სახლებს ორი ნაკვეთი უკავია, რომელთა ღირებულება, დაახლოებით, 600 მილიონი რუსული რუბლია (10 184 676 აშშბდოლარი). პროექტ „ჩრდილოეთ ვერსალის“ გარდა, Concord-მა 490 ბინისა და 60 კოტეჯისგან შემდგარი კიდევ ერთი საცხოვრებელი კომპლექსი ააშენა. 2002 წელს, ევგენი პრიგოჟინი სანკტ-პეტერბურგში საბიუჯეტო სწრაფი კვების ქსელ Donalt's-ის მფლობელი გახდა.

მიმიდნარე წლის 28 ივლისს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, პროგრამა RFJ-ის („ჯილდო სამართლიანობისათვის“) ფარგლებში, განაცხადა, რომ 2016 წლის არჩევნებში ჩარევის საქმეზე ინფორმაციას ინტერნეტკვლევის კომპანია Internet Reasarch Agency (IRA) ეძებს, რომელიც ევგენი პრიგოჟინს, მასთან დაკავშირებულ 12 კერძო და 9 იურიდიულ პირს უკავშირდება. სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ ინფორმაციისათვის 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯილდო დააწესა. თეთრი სახლი დარწმუნებულია, რომ Internet Research Agency-ისა და სხვა კომპანიების საშუალებით, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს აშშ-ში, ევგენი პრიგოჟინი ე.წ. „ტროლების ფაბრიკას“ მართავდა, რათა საზოგადოებრივ აზრზე გავლენა მოეხდინა.

პრემიერ-მინისტრის წლიური ანგარიშის მთავარი ეკონომიკური გზავნილები

მაკა რუხაძე

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში!“

„ზიზღის ერთ-ერთი ობიექტი დღეს, აქ, ჩემი კოლეგები და რამდენიმე ჯგუფი გახდა. ლგბტ თემაზე აღარ დასრულდა თქვენი მხრიდან პროპაგანდისტული გზავნილები. ძალიან მიხარია, რომ თქვენი შვილი შეერთებულ შტატებში ისწავლის. იქნებ, მან მაინც შემდეგ აგიხსნათ, რას ნიშნავს თავისუფალი სამყარო. მე ვნახე, რომ თქვენი შვილი პენსილვანიის უნივერსიტეტში გააგრძელებს სწავლას, მიხარია ნამდვილად და ბევრ ახალგაზრდას ვუსურვებ ამის შესაძლებლობას, დამსახურებულად, ცხადია. იცით, თუ არა, რომ პენსილვანიის უნივერსიტეტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლგბტ საკითხების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მეგობრულია? ხომ არ გეშინიათ, რომ თქვენს შვილს გადაიბირებენ იქ? ან რამე ზონდირებას მოახდენენ? არ გიფიქრიათ ამაზე?“– ასე მიმართა პარტია „ლელოს“ წარმომადგენელმა, დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს პარლამენტში და „წითელი ხაზებიც“ გადაკვეთა.

1 ივლისს, საკანონმდებლო ორგანოში, ირაკლი ღარიბაშვილი წლიური ანგარიშით წარსდგა და ვიდრე მისი ვრცელი გამოსვლიდან ძირითად ეკონომიკურ მესიჯებს შემოგთავაზებთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერ პოლიტიკოსს აქვს უფლება, კოლეგა მწვავედ გააკრიტიკოს, შევიდეს მასთან დებატებში, ეკამათოს, ოღონდ არსებობს წითელი ხაზი – ოპონენტის ოჯახი, განსაკუთრებით, შვილები. არავის არ აქვს უფლება, საკუთარი ოპონენტების შვილებს შეეხოს, არც ოპოზიციას, არც ხელისუფლებას და არც შუაშისტებს!

ახლა კი დაპირებული ანგარიშის ძირითადი ეკონომიკური გზავნილები, რითაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი პარლამენტში წარსდგა. ეკონომიკური მიმოხილვა ღარიბაშვილმა შთამბეჭდავი ციფრებით დაიწყო და აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე, 10%-იანი ანუ ძლიერი ეკონომიკური ზრდა გვაქვს. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), დაახლოებით, 50 მილიარდი ლარი იყო; 2022 წელს – 80 მილიარდი, ხოლო 2021 წელს – 60 მილიარდი. პრემიერის განცხადებით, სამი წლის მანძილზე, ქვეყნის ეკონომიკა თითქმის 30 მილიარდი ლარით გაიზარდა.

„ასევე, გეტყვით, რომ მიმდინარე წლის აპრილში, ეროვნული ბანკის ოფიციალურმა სარეზერვო აქტივებმა ისტორიულ მაქსიმუმს – 5.1 მილიარდ დოლარს მიაღწია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეკონომიკური აქტივობის მაღალ ზრდასთან ერთად, გაიზარდა ინკლუზიურობა და შემცირდა, როგორც უმუშევრობის დონე, ისე, სიღარიბე. უმუშევრობის დონე, პატივცემულო დეპუტატებო, წინა წელთან შედარებით, შემცირდა მნიშვნელოვნად და მიაღწია ისტორიულ მინიმუმს – 17.3%-ს. აქვე შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, როდესაც ჩვენ ჩავიბარეთ ხელისუფლება, უმუშევრობის დონე თითქმის 27% იყო. წელს, პირველ კვარტალში, დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად – 70 ათასით გაიზარდა და 1 271 000 შეადგინა. უმუშევრობის შემცირება, პირველ რიგში, კერძო სექტორში სამუშაო ადგილების ზრდით არის განპირობებული, იმ გარემოთი, რომელიც ჩვენ შევქმენით. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ შევადარებთ გასულ წელს, ეს მაჩვენებელი საკმაოდ შთამბეჭდავია. აბსოლუტური სიღარიბის დონე ისტორიულ მინიმუმამდე – 15.6%-მდე ჩამოვიდა და წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2012 წელს, წინა ხელისუფლების პირობებში, სიღარიბის მაჩვენებელი იყო 30%. წელს ისტორიულ მინიმუმზე ჩამოვიდა სიღარიბე – 15.6%. ეს ნიშნავს, რომ ბოლო ათ წელში, სიღარიბის დონე თითქმის განახევრდა, ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა თავი დააღწია სიღარიბეს, უფრო ზუსტად, 535 000-მა ადამიანმა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, გასული წლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მაღალი ინფლაცია და ფასების ზრდა იყო. მისი თქმით, მთავრობამ საკმაოდ ეფექტიანი ნაბიჯები გადადგა მიმდინარე წლის დასაწყისში და შედეგად, 1.5%-იანი ინფლაცია გვაქვს.

„პროგრამის – „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, გაფართოვდა ბიზნესის, როგორც ფინანსური, ისე – ტექნიკური ხელშეწყობის მექანიზმები; მეწარმეებისათვის, ადგილობრივ დონეზე ბიზნესის მხარდამჭერის მიზნით, შემუშავდა რეგიონული ზრდის ცენტრების კონცეფცია; წელს გაიხსნება საკონსულტაციო ცენტრები რეგიონებში.

პროგრამის საშუალებით, საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილია 1 000-მდე პროექტი, შეიქმნება 6 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი, მხოლოდ ამ ერთი პროგრამის ფარგლებში.

სულ კი, შექმნის დღიდან ანუ ამ პროგრამის ამოქმედების დღიდან, „აწარმოე საქართველოში" სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, 11 ათასამდე პროექტი დაფინანსდა და 62 000 სამუშაო ადგილი შეიქმნა".

როგორც პრემიერმა აღნიშნა, წელს არა მხოლოდ ვუბრუნდებით პანდემიამდელ მაჩვენებლებს, არამედ, მთავრობის სწორი სტრატეგიის შედეგად, რეკორდული მოცულობის შემოსავალს ველით ტურიზმის ინდუსტრიიდან. მისი თქმით, პირველი კვარტლის მდგომარეობით, უკვე 1.2 მილიონ საერთაშორისო მოგზაურს ვუმასპინძლეთ, რაც მნიშვნელოვანი აღდგენაა 2019 წელთან შედარებით. მიღებული შემოსავალი რეკორდულია პირველ კვარტალში – თითქმის 800 მილიონი აშშ დოლარი, რაც 2019 წელთან შედარებით, დაახლოებით, 38%-იანი მატებაა. მეტიც, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ წლის ბოლომდე, დაახლოებით, 6 მილიონზე მეტ საერთაშორისო მოგზაურს ვუმასპინძლებთ და ქვეყანა, დაახლოებით, 4.5 აშშ დოლარის შემოსავალს ელოდება, რაც 2019 წელთან მიმართებაში, 134%-იანი მატებაა. რაც მთავარია, ჯამურად, აეროპორტების მგზავრთნაკადიც პანდემიამდელ მონაცემებს დაუბრუნდება.

რაც შეეხება ექსპორტსა და იმპორტს, პრემიერის განცხადებით, ექსპორტი გაიზარდა 31.%-ით და შეადგინა 5.6 მილიარდი დოლარი, ხოლო სავაჭრო ბრუნვამ 33%-ით მოიმატა და 20 მილიარდ დოლარამდე დაფიქსირდა.

„ჩვენი ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ინოვაციებზე, ახალ ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებაა. საგრანტო პროგრამების ფარგლებში, ინოვაციების სააგენტო აქტიურად მუშაობს. დღემდე, 35 მილიონი ლარით დაფინანსდა გლობალური მასშტაბის პოტენციალის მქონე 200-ზე მეტი ინოვაციური სტარტაპი. შედეგად, ბენეფიციარებმა 120 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღეს და მოიზიდეს 330 მილიონ ლარამდე კერძო ინვესტიცია. შედეგად, შეიქმნა 3 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი. ეს, ძირითადად, ახალგაზრდების მიერ წამოწყებული სტარტაპებია. ჩვენ ვეხმარებით და კიდევ უფრო მეტად დავეხმარებით ამ მიმართულებას".

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მიმართულებით მიღწეულ პროგრესს, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ 2022 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 15.2 მილიარდი ლარი შეადგინა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ეს მაჩვენებელი 112%-ით გაიზარდა. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ შარშან, საქართველოდან, მსოფლიოს თითქმის 96 ქვეყანაში, ექსპორტირებულია რეკორდული – 1.3 მილიარდამდე დოლარის ღირებულების პროდუქცია, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 10.5%-ით აღემატება. ექსპორტის ზრდის ტენდენცია წელსაც გრძელდება. პრემიერმა განაცხადა, რომ ხუთ თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 33%-იანი ზრდა გვაქვს.

„ღვინის ექსპორტი გაიზარდა სტრატეგიულ ბაზრებზე – პოლონეთში გვაქვს 30%-იანი, ამერიკაში – 28%-იანი ზრდა, ლატვიაში – 20%, გერმანია -34%, ესტონეთი 50%, იაპონია -68%, რუსეთი – 50 %. ვიმეორებ, შარშან გვქონდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის 103 მილიონი ლიტრი ღვინის ექსპორტი, მსოფლიოს 66 ქვეყანაში, რის შედეგადაც, ქართველმა მეწარმეებმა 250 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღეს. იზრდება სპირტიანი სასმელების ექსპორტი – აქ 57%-იანი ზრდა გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ მიღებული შემოსავალი 48 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ერთ-ერთი, მთავარი პრიორიტეტია ევროკავშირის ბაზარზე არსებული პოტენციალის სრულად გამოყენება. სწორედ ამ მიზნით, მოგეხსენებათ, ჩვენ მივაღწიეთ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას რვა წლის წინ, ამიტომ აქტიურად მიმდინარეობს ამ ბაზრის ათვისება. გეტყვით, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 129%-ით გაიზარდა ღვინის ექსპორტი ევროკავშირში, 26%-ით – სპირტიანი სასმელების, ხილისა და ბოსტნეულის წვენების – 100%-ით. ასე რომ, ყოველ წელს, ჩვენ გვაქვს სერიოზული პროგრესი ამ მიმართულებით.

შარშან სოფლის მეურნეობაში ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ 6.2 მილიარდი ლარი შეადგინა მხოლოდ სახელმწიფო პროგრამებიდან, აქედან, სახელმწიფოს თანადაფინანსება 1.6 მილიარდი ლარია".

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შარშან, სოფლის მეურნეობის, ირიგაციის, დრენაჟისა და მიწის მართვის სექტორში. მოზიდულ იქნა უპრეცედენტო – 300 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ფინანსური რესურსი ოთხი მსხვილი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისგან.

„რაც შეეხება ენერგეტიკას, შარშან, ისტორიული მნიშვნელობის პროექტი დავაინიციერეთ. ეს არის ქართული ინიციატივა და ეხება „შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემ კაბელს". ეს პროექტი ჩვენ განვიხილეთ და მე ვიყავი პირადად ჩასული ბრიუსელში, 2021 წლის აპრილში, სადაც ერთ-ერთი, მთავარი განხილვის თემა სწორედ ეს იყო. ჩვენ თავიდანვე მივიღეთ სრული მხარდაჭერა ევროკავშირისგან. შემდეგ აქტიური თანამშრომლობა გავაგრძელეთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან – აზერბაიჯანთან, რუმინეთთან, უნგრეთთან და შარშან ხელი მოეწერა მემორანდუმს. სრული მხა-

დასასრული მე-8 გვერდზე

პრემიერ-მინისტრის წლიური ანგარიშის მთავარი ეკონომიკური გზავნილები

მე-7 გვერდიდან

რდაჭერა აქვს ამ პროექტს გამოცხადებული ბრიუსელიდან, ევროკავშირიდან, მსხვილი საფინანსო ინსტიტუტებიდან და ჩვენ ველით, რომ ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი ისტორიული პროექტი, რომელიც ბოლო 30 წელიწადში განხორციელდება“.

პრემიერის განცხადებით, შარშან, ექსპლუატაციაში შევიდა შვიდი ჰიდროელექტროსადგური. ამჟამად, სულ გაფორმებულია 229 მემორანდუმი, მიმდინარეობს მუშაობა ოთხი, დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების შესახებ. ელექტროსადგურების სავარაუდო ჯამური დადგმული სიმძლავრე – 3 000 მგვტ-ს, სავარაუდო გამომუშავება კი, დაახლოებით, 13 მილიარდ კვტ/სთ-ს შეადგენს.

„ასევე, დაინერგა განახლებადი ენერგიების მხარდაჭერის ახალი სქემა, რომლითაც მხარდაჭერას მიიღებს 15 ჰიდრო, 2 ქარისა და 10 მზის ელექტროსადგურის პროექტი. დაგეგმილი გვაქვს 350-430 მგვტ კომბინირებული ციკლის ახალი თბოელექტროსადგურის – „გარდაბანი 3“-ის მშენებლობა, რომელიც ყველაზე დიდი სიმძლავრის თბოსადგური იქნება საქართველოში“.

რაც შეეხება ანაკლიის პორტს, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და პორტის მშენებლობა დაიწყება წელს, მთავრობის დაფინანსებით. აქედან 51% იქნება მთავრობის საკუთრება, დანარჩენზე უკვე გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა და ახლა, ამ საკითხების აქტიური დამუშავება მიმდინარეობს, მათ შორის, სერიოზული ინვესტორისგან გამოითქვა ინტერესი. თუმცა, ამ ეტაპზე არა ვართ იმ კონდიციაში, რომ ეს ინფორმაცია განვასაჯაროოთ. მინდა გითხრათ, რომ მიღებულია გადაწყვეტილება – მოგახსენეთ, რომ ჩვენ წელს დავიწყებთ მშენებლობას და ეტაპობრივად, რა თქმა უნდა, პარალელურად გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს ინვესტორებთან.

„იცით, რომ შარშან, გავაფორმეთ მემორანდუმი აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან ე.წ. შუა დერეფნის განვითარების შესახებ. ჩვენ გვაქვს კონკრეტული საგზაო რუკა, ვიცით, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა. პოტენციალი იმისა, რომ ტვირთნაკადი გაიზარდოს ამ დერეფანში, არის საკმაოდ დიდი და რეალური პერსპექტივა, მაგრამ ამ მიზნით, აუცილებელია, რომ გაიზარდოს რკინიგზისა და პორტების გამტარუნარიანობა. იცით, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ჩქაროსნული მაგისტრალების პროექტის დასრულებაზე, 2024-ის ბოლოს იქნება დასრულებული ეს მნიშვნელოვანი, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი გზა. ასევე რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი დასრულდება მომავალ წელს, რითაც ჩვენი რკინიგზის გამტარუნარიანობა გაორმაგდება. ამიტომ, აუცილებელია, რომ პორტების გამტარუნარიანობაც გაიზარდოს. და სწორედ ამ მიზნით, ჩვენ დავიწყებთ ანაკლიის პორტის მშენებლობას“.

პრემიერის განცხადებით, ბოლო ათი წლის მანძილზე, საგრძნობლად გაიზარდა გაზიფიცირების სამუშაოები. გაისად, მოსახლეობის თითქმის 93% იქნება გაზიფიცირებული. ეს არის რეკორდული მონაცემები. თუ ამას შევადარებთ 2012 წელს, ძალიან დიდი სხვაობა გვაქვს ამ მიმართულებით.

„რაც შეეხება მეტიკამენტებს, მოგეხსენებათ, რომ წარმატებული აღმოჩნდა ჩვენ მიერ გატარებული რეფორმა, მედიკამენტების ფასების დარეგულირებისა და შემცირების მიმართულებით. თურქეთის ბაზრის გახსნის შედეგად, დღეს, ხელმისაწვდომია ყველაზე მეტად მოთხოვნადი 550-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი და მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. მედიკამენტების ფასები შემცირებულია 60-დან 80 %-მდე. წლის ჭრილში, მოსახლეობამ 200 მილიონ ლარზე მეტი დაზოგა შარშან და ეს ყოველ წელს მოიმატებს, ეს ეკონომია, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა ნახავს. წელს, ასევე მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების მექანიზმი ამოქმედდა. დღეისთვის, 1 600-ზე მეტ წამალზე უკვე განისაზღვრა რეფერენტული ფასი, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მედიკამენტების ღირებულება“.

პრემიერის განცხადებით, მთის კანონი საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს. საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 111 მილიონი ლარი მიიმართა, ხოლო კანონის ამოქმედებიდან – 509 მილიონი ლარი. მისივე თქმით, ორი წლის წინ, მთავრობამ დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტის – სუბსიდირებული იპოთეკური სესხების ამოქმედება. ეკონომიკის სამინისტრო გასცემს ამ პროგრამის ფარგლებში სუბსიდირებულ სესხებს, უფრო სწორად, ბანკებთან თანამშრომლობს. პროგრამით სარგებლობას შეძლებს ოჯახი, თუ სესხის აღების მომენტში ჰყავს 1 წლამდე ასაკის შვილი და ამ პროგრამის მოდიფიცირებაც არის დაგეგმილი. გვინდა, რომ

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში!“

ეს გავაფართოოთ და უფრო მეტ ოჯახს დავეხმაროთ. ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ დღეს ამ პროგრამის ფარგლებში ჩართული ოჯახების რაოდენობა შეადგენს 4 700 ოჯახს და ბენეფიციარებს, ჯამურად, 500 მილიონ ლარზე მეტი სესხი დაუმტკიცდათ. მთავრობამ დაასუბსიდირა და შედეგად, 4 700 ოჯახს დავეხმარეთ.

„რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, დღეის მდგომარეობით, სულ აშენებულია 234 კმ მაგისტრალური გზა. აქედან, ორ მესამედზე მეტი – 166 კმ მაგისტრალური გზა ჩვენი ხელისუფლების დროს აშენდა; დასრულდა 424 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 600 კმ-მდე გზას; სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს აქტიურად აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის 108 კმ-ზე, მათ შორის, რიკოთზე. სამუშაოების დასრულება და მოძრაობის გახსნა დაგეგმილია ეტაპობრივად, 2024 წლის ბოლომდე. ასევე, ჩვენ დავიწყეთ შარშან რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გვირაბის – ქვეშეთი-კობის 9 კმ-ის სიგრძისა და 15 მეტრი დიამეტრის გვირაბის მშენებლობა, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო იქნება.

24-საათიანი წყალმომარაგება ჯერ კიდევ რჩება ჩვენი მუნიციპალიტეტებისთვის გამოწვევად. გეგმის მიხედვით, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ, 2030-ის ხედვის ფარგლებში, 2025 წლის ბოლოს, ყველა ქალაქს ექნება 24-საათიანი წყალმომარაგება. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ „განახლებული რეგიონების“ პროგრამა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. 500 მილიონ ლარამდე დაიხარჯა პირველი ფაზის პროექტების დასაფინანსებლად და ახლა დაიწყო მეორე ფაზის სამუშაოები. მინდა შეგახსენოთ, რომ განახლდა 727 შენობა და მიმდებარე ტერიტორიები, მოწყობილია საინჟინრო ქსელები, 92 სკვერი და ასევე ქობულეთში ახალი ბულვარი მოეწყო.

ახლა ჩვენ ვიწყებთ ქალაქებისა და კურორტების განვითარების ხუთწლიან პროგრამას, რომელიც კიდევ უფრო მასშტაბური იქნება. ამ პროგრამას ბიუჯეტიდან მოხმარდება ერთი მილიარდი ლარი. პროგრამის პირველ ეტაპზე, შევარჩიეთ 11 ყველაზე საინტერესო ლოკაცია ტურისტებისთვის და ჩვენი დამსვენებლებისთვის. ეს არის ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტია და ყაზბეგი. პროგრამა ქალაქებისა და კურორტების პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის, ჩვენი მოლოდინი ასეთია და 200 მილიონი ლარი მიემართება წელს ამ პროგრამის პირველი ეტაპის დასაფინანსებლად“.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, გარემო, რომელშიც ცხოვრება გვიწევს, ზოგადად, ჰაერის ხარისხი, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მთავრობამ შეისწავლა ევროპული გამოცდილება, მათ შორის, რეგიონში არსებული ვითარება. რეგიონში არც ერთი ქვეყანა არ დარჩა საქართველოს გარდა, რომელმაც ევრო-5-ის სტანდარტი არ შემოიღო. ეს ნიშნავს, რომ 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი უნდა შეიზღუდოს. მთავარი დამაბინძურებელი, რაც არაერთი კვლევითაც დადასტურდა, უკავშირდება ავტომობილების გამონაბოლქვს.

„მთავარი გამოწვევა, რომელიც რჩება ამ სფეროში, ჰაერის დაბინძურებაა, რომელიც გამომდინარეობს გაუმართავი ავტომობილებიდან. მათ შორის, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ჩავკეტეთ ე.წ. კატალიზატორების ექსპორტიც, რომელიც ერთგვარ ბიზნესად იქცა. ხდებოდა ამ კატალიზატორების ამოღება მანქანებიდან და ამის გასხვისება, მაგრამ ეს ჩაიკეტა. მოლოდინი არის, რომ რამდენიმე წელიწადში, მკვეთრად გაუმჯობესდება ჰაერის ხარისხი დედაქალაქში, თუ მსხვილ ქალაქებში. ქვეყანა უნდა გახდეს განვითარებული, მოვლილი, გაციფრულებული, მწვანე ეკონომიკა და ეს, რა თქმა უნდა, არის მიმართულება, რომელსაც სრული მხარდაჭერა აქვს ზოგადად ევროკავშირისგან და ამ მიმართულებით მიდის ყველა განვითარებული ქვეყანა“.

პრემიერის განცხადებით, მთავრობამ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა დაიწყო, რომელიც 2024 წლის ბოლოს დასრულდება. ეს არის მიწის სისტემური რეგისტრაცია, რისთვისაც სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ღარიბაშვილი ამბობს, რომ ამ მიამრთულებითაც შეიქმნა 1 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი. მისივე თქმით, მობილური იუსტიციის სახლის 470-ზე მეტი სერვისი უკვე მთელ საქართველოს ფარავს. ასევე, ძალიან მალე დასრულდება შესაბამისი აპლიკაცია, რათა ყველა ეს სერვისი მოქალაქეებმა მიიღონ ონლაინ.

„მინდა, ერთგვარად შევაჯამო ჩვენი მუშაობა. ჩვენს წარმატებაზე მეტყველებს, ძვირფასო მეგობრებო, ორიოდე დღის წინ, მაგალითად, ევროპის ანტიკორუფციული კვლევების ცენტრ „გლობალური გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული 23 წლის ანგარიში, რომელიც მთელ მსოფლიოში მთავრობის გამჭვირვალობის ამჟამინდელ მდგომარეობას აფასებს. გამჭვირვალობის ინდექსის მიხედვით, საქართველო მკვეთრად, 54-დან მე-17 ადგილზე დაწინაურდა. მსოფლიოში მთავრობის გამჭვირვალობის მიხედვით, მე-17 ადგილზეა ჩვენი ქვეყანა. ამ ინდექსის მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რა თქმა უნდა, ვინარჩუნებთ ლიდერის პოზიციებს, რეიტინგში ვუსწრებთ ევროკავშირის წევრ 15 ქვეყანას და დიდი შვიდეულის წევრ ოთხ სახელმწიფოს. ასევე, გეტყვით, რომ რა თქმა უნდა, ჩვენ ვინარჩუნებთ ისეთ მნიშვნელოვან რეიტინგებში ლიდერის პოზიციას, როგორიცაა კანონის უზენაესობის ინდექსი. ჩვენ ვართ რეგიონში, არა მხოლოდ რეგიონში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზე. ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში!“

სამართალი

№24 4 ივლისი 2023 წ

რატომ იქცა ფონიჭალა ნარკობიზნესის ცენტრად

რას უყვება „ვერსიას“ ადგილობრივი და რატომ არ ეშინიათ დილერებს

ბათო ჯაფარიძე

ორიოდე დღის წინ, სოციალურ ქსელში, ერთ-ერთმა მომხმარებელმა იკითხა, ფონიჭალაში ნარკოტიკების გამსაღებლები კი არა, ხალხი როგორ არ გამოილია, ორ თვეში ერთხელ ათეულობით ადამიანს აკავებენო. მართლაც, მორიგი სპეცოპერაციის შედეგად, სამართალდამცავებმა 40-მდე ადამიანი დააკავეს, რომელთაც ბრალად ნარკოტიკების გასაღება ედებათ. ბრალდებას მტკიცებულებების მიმართულებით სასამართლო პროცესზე არ გაუჭირდება, რადგან შს სამინისტროს თანამშრომლებს საკონტროლო შესყიდვები აქვთ გაკეთებული და ყველაფერი ეს, ფარული ვიდეოთვალით გახლავთ დაფიქსირებული. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა შსს ოპერატიულად მუშაობს და არ გვეგულება საქართველოში ადამიანი, ვინც ნარკოტიკების გამსაღებლებს შეიცოდებს, თუმცა ჩვენ სხვა რამეც გვაინტერესებს – მაგალითად, 2022 წელს დაკავებული ასობით ნარკოდილერიდან, რამდენს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და რა ვადით? ვადა ძალიან მნიშვნელოვანია და უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ ნებისმიერი, ვინც ნარკოტიკების გასაღებაზეა დაკავებული, გასამართლდეს და ციხეში ჩაჯდეს ანუ მასთან არ გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება, გარდა ერთი, უფრო ზუსტად, ერთადერთი შემთხვევისა და ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი, ფონიჭალაზე, თბილისის ამ კონკრეტულ უბანზე ვთქვათ.

როცა სასჯელს ვიხდიდი, ფონიჭალელების აბსოლუტური უმრავლესობა (99%), ან ნარკოტიკების მოხმარებაზე იხდიდა სასჯელს, ან გასაღებაზე. ისე არ იფიქროთ, თითქოს, იქ ნარკოტიკების საყიდლად მხოლოდ სხვადასხვა უბნიდან ან ქალაქიდან მიდიოდნენ. არა, ბატონებო, პროცენტულად, ნარკოტიკების მომხმარების მხრივ, ფონიჭალა და მისი მიმდებარე სოფლები ერთ-ერთი მოწინავეა. რამდენიმე ასეულ ადამიანს ნარკოტიკების მოხმარების გამო პირობითი სასჯელი აქვს, არაერთი ათეული მომხმარებელი მეტადონის პროგრამაშია ჩართული და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

„არასდროს მიფიქრია ნარკოტიკების მოხმარება, მაგრამ უბნის ბიჭები, რომლებიც წამალს იკეთებდნენ, მთხოვდნენ, შენ „დამწვარი“ არ ხარ, პოლიცია ყურადღებას არ მოგაქცევს და ნარკოტიკი გვიყიდეო. ასე გავხდი „განეცი“ ანუ ბიჭი, რომელიც ნარკომანებისთვის ნარკოტიკს ყიდულობს. შემდეგ ერთხელ გავსინჯე (პრინციპით, ერთი არაფერს მიზამს) და შევჯექი. ჯერ სასჯელი მოვიხადე, მერე მეორედ მოვიხადე, ახლა კი, მეტადონის პროგრამაში ვარ ჩართული. გამექცა ცოლი, თან წაიყვანა ორი შვილი და ბავშვებს ნარკომანი მამის ნახვა არ სურთ, უტყდებათ, ალბათ, მართლებიც არიან. ჩემი შვილების მეგობრებს არ ვიცნობ, არ მაცნობენ, არ უნდათ, მეგობრებმაც იცოდნენ, რომ ნარკომანი ვარ“, – გვეუბნება ფონიჭალის ახლოს, სოფელ კრწანისში მცხოვრები ერთ-ერთი პიროვნება. ამ პიროვნების ძმა სასჯელს ნარკოტიკების მოხმარებისთვის იხდის, დას ოჯახი იმიტომ დაენგრა, რომ ნარკოტიკებს მოიხმარდა და ქმარმა რომ გაიგო, მიატოვა. დიახ, ოჯახებია განადგურებული და არაერთი ოჯახის ლამის ყველა წევრი მომხმარებელია. მაინც, რა არის ფონიჭალის ფენომენი და რატომ, მაინცდამაინც, ფონიჭალა?

დავიწყოთ იმით, რომ ფონიჭალა ყველაზე მოსახერხებელი ადგილია ხელის დასაცლელად. იქიდან საქართველო-აზერბაიჯანისა, თუ საქართველო-სომხეთის საზღვრამდე არცთუ დიდი მანძილია და ორივე შემთხვევაში, როცა დედაქალაქში გინდა შესვლა, სწორედ ფონიჭალა უნდა გაიარო. შესაბამისად, ნარკოდილერები ცდილობენ, „ფაქტი“ რაც შეიძლება, მალე მოიცილონ. ამიტომ, წამალს ფონიჭალაში ტოვებენ და ტოვებენ ბევრად იაფად, ვიდრე ის ზოგადად იყიდება. მეტიც, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე „ბარიგები“ ფონიჭალაში აღებულ ნარკოტიკს ჰყიდიან და რაღა თქმა უნდა, ბითუმად იღებენ, მერე ცალობაში აფასოებენ და „ბიზნესიც იქოქება“.

რატომ არ ეშინიათ ნარკოტიების გამსაღებლებს სასჯელის? ხომ ფაქტია, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შსს ორთვიანი ინტერვალით, მასშტაბურ სპეცოპერაციაას ატარებს და „გათოხნილზე ამოსულ სარეველას ახლიდან მარგლავს!“ ყველაფერი ეს ერთ-ერთმა ადგილობრივმა ძალიან მარტივად აგვიხსნა.

„ბარიგებში ასაკმა დაიკლო, თუ აქამდე 40-45 წელს გადაცილებული ხალხი ჰყიდდა ნარკოტიკს, ახლა 17-18 წლის ბიჭები და გოგოები ჰყიდიან. ჰო, გოგოებიც, რადგან ეს დასახლება ერთი პატარა ოჯახივითაა, ყველა ყველას იცნობს და ისიც იციან, ვინ ჰყიდის წამალს და ვინ – არა. აი, ისინი, რომლებიც წამალს ჰყიდიან, ძვირადღირებული მანქანებით დადიან, არაფერს იკლებენ და ყველაფერ ამას ახალგაზრდები უყურებენ. თანაც, არის ზოგიერტი „ბარიგა“, რომელსაც ორი-სამი და მეტი წელი ვერ, ან არ იჭერენ. ჰოდა, ყველას იმედი აქვს, რომ მასაც არ დაიჭერენ. პროცენტულად რომ გითხრათ, ათასი დოლარის წამალი რომ იყიდო, შეიძლება, 10-15 ათას დოლარად გაყიდო. ეს კი უზარმაზარი თანხაა. ადრე ამბობდნენ, რომ შემდგომში, დაჭერილი ბარიგა თვეში 100 ათასი დოლარის წამალს ყიდულობდა და მილიონი რჩებოდა. ეს ესმოდა ყველას და იოლად ნაშოვნ მილიონს დიდი ხიბლი აქვს“...

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ნარკოტიკების გამსაღებლებს შორის, უდიდესი კონკურენციაა. ამიტომაც არის, ისინი ძალიან ხშირად სიფრთხილეს რომ კარგავენ და ნარკოტიკს მათთვის სრულიად უცნობ ადამიანზე ჰყიდიან, რაც საბოლოოდ იმით მთავრდება, რომ უცხოებში შსს-ს გადაცმული თანამშრომლებიც ერევიან და საბოლოოდ, „ბარიგა“ „მოღვაწეობას“ ასრულებს ისე, როგორც უნდა დაასრულოს. ადგილობრივ ნარკოდილერებს სიფრთხილის გრძნობა იმდენად აქვთ დაქვეითებული, რომ საკმარისია კონკრეტულ ადგილზე მიხვიდე, ხელში ორი-სამი ცალი ასლარიანი გეჭიროს და დაბნეულად იყურებოდე აქეთ-იქეთ, რომ მაშინვე მოვა არასრულწლოვანი ბავშვი და სუფთა ქართულით გეტყვის – შემთხვევით, ნარკოტიკის შეძენა ხომ არ გსურსო?! ნარკოტიკიც ამ ბავშვს მოაქვს და რომც დაიჭირო, ვერაფერს ეტყვი – ის არასრულწლოვანია და ამ მიმართულებით კანონის გამკაცრებას საშველი არ დაადგა, რითაც არა მხოლოდ ნარკოტიკების გამსაღებლები სარგებლობენ, არამედ ისინიც, ვინც არასრულწლოვნებს თბილისსა და რეგიონებში მაღაზიებს აქურდინებს და შემდეგ ნაქურდალის გასაღებაში ეხმარება. არასრულწლოვნების დანაშაულის აღსაკვეთად რამე მექანიზმი აუცილებლად არის მოსაფიქრებელი და საშემოდგომო სესიაზე დასამტკიცებელი, სხვაგვარად, აგორებული ტალღის შეჩერება წარმოუდგენელია.

რაც შეეხება ზემონახსენებ ერთადერთ შემთხვევას – როდის შეიძლება, ნარკოტიკების გასაღებაში ბრალდებული პირი პატიმრობიდან გაათავისუფლონ? ეს იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული იტყვის, საიდან იღებს ნარკოტიკს ანუ გასცემს მთავარ დილერს, მას, ვისაც ნარკოტიკი საქართველოში შემოაქვს. ხომ მარტივია, ჰეროინსა და კოკაინს ადგილზე ვერავინ დაამზადებს, არც კლუბური ნარკოტიკია ადგილობრივი წარმოების და გამოდის, რომ ყველაფერი ეს შემოდის და შემდეგ აქ საღდება. შსს-ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში, უცხოეთის არაერთი მოქალაქე დააკავა, რომელსაც ნარკოტიკი შემოჰქონდა საქართველოში, მაგრამ ეს საკმარისი არაა, რადგან ყოველდღიურად, ჩვენს ქვეყანაში, რამდენიმე კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება იყიდება და რამდენიმე მილიონი იხარჯება. სწორედ ამიტომ, თუ რომელიმე ნარკოდილერი იტყვის, ვინ არის მთავარი შემომტანი და კონკრეტულ სახელსა და გვარს დაასახელებს, მისთვის პირობითი მსჯავრის მიცემა და უმკაცრეს კონტროლზე აყვანა შეიძლება.

უდიდესი გულისტკივილით აღვნიშნავთ იმასაც, რომ „მარიხუანას“ მოხმარებასთან კანონის შემსუბუქებამ სერიოზული პრობლემები გააჩინა. რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, რომ „მარიხუანა“ მსუბუქი ნარკოტიკია, რეალურად, ის, რაც საქართველოში იყიდება და რასაც მოიხმარენ, ქიმიური ნაერთია, რომლითაც ველურ კანაფს ჟღინთავენ და ამის შემდეგ გააქვთ გასაყიდად. სწორედ ქიმიური ნაერთი იწვევს იმ შეგრძნებებს, რომელიც რეალურად, ნამდვილ კანაფს არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ქიმიური ნაერთიდან გამოსული კვამლი აზიანებს ფილტვებს (უბრალოდ ხვრეტს მათ) და ამის შედეგებს 1-2-წლიანი მოხმარების შემდეგ იმკიან „მარიხუანას“ მომხმარებლები. ამიტომ გვგგონია, რომ ამ მიმართულებით მიდგომა ისევ უნდა გამკაცრდეს და ახალგაზრდებმა „მარიხუანა“ პირდაპირ სადარბაზოებსა, თუ კორპუსების წინ არ უნდა გააბოლონ.

დასასრულ, გავა კიდევ ერთი-ორი თვე, ან უფრო ნაკლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მორიგ სპეცოპერაციას ჩაატარებენ, ისევ დააკავებენ ათეულობით ნარკოდილერს და მათი აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ ფონიჭალიდან იქნება. ეგებ, სჯობდეს, მასშტაბური სპეცოპერაციების ნაცვლად, პატარ-პატარა რეიდები განახორციელონ და თუნდაც ყოველდღე მოახერხონ ათის თუ არა, ერთი-ორი „ბარიგის“ აყვანა. ეს გამსაღებლებსაც დააფრთხობს და მომხმარებლებიც არ „დააბირჟავებენ“ ფონიჭალაში, წამლის მოლოდინში და არ გაუღიმებენ პატრულის თანამშრომლებს იმის იმედად, რომ მოხმარებაზე სასჯელი ლიბერალურია და დიდ „სროკს“ არ ითვალისწინებს. თაობები დაღუპა ნარკოტიკმა საქართველოში, თაობები იღუპებიან ახლაც და თუ ეს დროზე არ დასრულდა, რამდენიმე წლის შემდეგ, უბრალოდ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

ბათო ჯაფარიძე

ამაზრზენი დანაშაული – პედოფილი პროფესორის ავადმყოფური ვნებები

როგორ გავიდა გამოძიება პედოფილების დაჯგუფებაზე

ერთი შეხედვით, საბავშვო პორნოგრაფია საქართველოში განვითარებული არ არის და იშვიათად გვესმის, რომ ამ დანაშაულის ჩადენის გამო, ვინმე დაიჭირეს, თუმცა რამდენჯერმე მაინც იყო შემთხვევა, როცა არაადამიანები არასრულწლოვნების ჩართვას ცდილობდნენ საბავშვო პორნოგრაფიაში, სურათებსა და ვიდეორგოლებს უღებდნენ, შემდეგ საზღვარგარეთ აგზავნიდნენ და ჰყიდდნენ. ასე განსაჯეთ, რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა მშობელმაც კი იცოდა, რა ხდებოდა მისის შვილის თავს და ანაზღაურების სანაცვლოდ, მზად იყო, „უწყინარი“ ფოტოები და ვიდეოები მათი შვილებისთვის გადაეღოთ. შესაძლოა, ძალიან უცნაურად ჩანდეს, მაგრამ საბავშვო პორნოგრაფია უცხო არც საბჭოთა კავშირის დროს იყო. უფრო სწორად მაშინ, როცა მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა ნაწილებად იშლებოდა, გარეთ 90-იანი წლები იყო და ფულს ამ უდიდესი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა კრიმინალით შოულობდა. სწორედ მაშინ გაისმა პირველად ხმამაღლა და გარკვევით საბავშვო პორნოგრაფია, მანამდე კი უბრალოდ, პედოფილია იყო, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება საგულდაგულოდ მალავდა, რადგან... საბჭოთა კავშირში მძიმე დანაშაულები არ ხდებოდა, ამას უმტკიცებდნენ ცივილიზებულ მსოფლიოს და რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც დიდ ქვეყნებში – კრიმინალი ნებისმიერი გემოვნების ადამიანებისთვის და დაუნდობელი, სასტიკი დანაშაულები.

სწორედ 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, საქართველოში მართალი ის იყო, ვისაც უფრო მეტი იარაღი ჰქონდა და ვინც უფრო ძლიერ შეიარაღებულ დაჯგუფებაში იყო გაერთიანებული. ვისაც სროლისა და ყაჩაღობა-ძარცვისთვის ერთი ადგილი არ ჰქონდა, ის ცდილობდა, ფული უფრო „მარტივად“ ეშოვა, მაგალითად, მეზობელ თურქეთში ქალები წაეყვანა „სამუშაოდ“ და შემდეგ იქ საროსკიპოებში მონებად გაეყიდა. ასე ხდებოდა, ეს იცოდა ძალიან ბევრმა და თურქეთს ალმაცერადაც უყურებდნენ, მაგრამ მსხვერპლთა რაოდენობა არ იკლებდა. ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ უახლოესმა ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთის გაწირვა, მეზობელი – მეზობელს, მეგობარი – მეგობარს და ნათესავი – ნათესავს აღარ ინდობდა.

„ცოდვა გამხელილი სჯობს, მაშინ მილიციის ბევრი თანამშრომელი შეეკრა კრიმინალებს, ზოგი – შიშის და ზოგი – გამორჩენის გამო. ჰოდა, არ გამკვირვებია, როცა სხვა რაიონის განყოფილებიდან ჩემი ძველი ნაცნობი მოვიდა და შველა მთხოვა, ჩემს უფროსს რომ ვუთხრა, აზრი არ აქვს, „კანონიერ ქურდებს“ ან რომელიმე საძმოს მეთაურს ჩააყენებს საქმის კურსში და ამით დამთავრდებაო. მისი თქმით, ვიღაც კაცი მცირეწლოვან ბავშვებს ჰყიდდა ანუ გაჭირვებული ოჯახებიდან, არჩევდა ძირითადად, გოგონებს (ბიჭებიც იყვნენ) არჩევდა, ეუბნებოდა, რომ ისინი მარტივ ფულს იშოვნიდნენ, თუ მდიდარ ოჯახს სახლს დაულაგებდნენ, ან მაღაზიაში გაეგზავნებოდნენ, სინამდვილეში, ბავშვებს უბრალოდ ჰყიდდა და მათზე ავადმყოფი გონების მამაკაცები ძალადობდნენ. ვერ დავარქმევ სხვა სახელს ასეთ კაცს, ასეთი კაცი ავადმყოფია და დღემდე ღრმად მწამს, რომ ასეთებისთვის დახვრეტის მუხლი უნდა დაბრუნდეს“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ეჭვმიტანილი ბავშვებს ყველგან ეძებდა, ქუჩაშიც კი აჩერებდა არცთუ კარგად ჩაცმულ გოგონებს და ჯერ ტკბილეულით უმასპინძლდებოდა, შემდეგ კი სამუშაოს სთავაზობადა, ოღონდ, ყველაფერ ამას უდიდესი სიფრთხილთ აკეთებდა, გამოჰკითხავდა მშობლების პროფესიას, ეკონომიკურ მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა შეთავაზება. ბავშვები მას ენდობოდნენ, უცნობ მამაკაცებს მიჰყვებოდნენ ბინის დასალაგებლად, მერე კი... მერე ატირებულებს, გაუპატიურებულებს, ხშირად ნაცემებს, ისევ საქმის მიმცემი ამშვიდებდა, არ ვიცოდი, თუ ამას იკადრებდა, მეც დამიჭერენ, შენც და შესაძლოა, პასუხი მშობლებსაც აგებინონო. „სახლის დასალაგებლად“ განკუთვნილ თანხას ათმაგს უმატებდა და ამშვიდებდა, ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, არავინ გაიგოსო. ჯერჯერობით, ყველა შემთხვევაში, მამაკაცს უმართლებდა და მას... ერთმაც არ უჩივლა. მილიციის თანამშრომელი, რომელმაც ბატონ თენგიზს დახმარებისთვის მიაკითხა, მზად იყო, დამნაშავე ცოცხალ სატყუარაზე დაეჭირა და ამისთვის... საკუთარი შვილი, 15 წლის გოგონა ჰყავდა ფსიქოლოგიურად მომზადებული. ეს უდიდესი რისკი იყო, მაგრამ სხვა გზა, პრაქტიკულად, არ რჩებოდა. ამიტომ, დაახლოებით, ერთ კვირაში, გოგონას ღარიბულად ჩააცვეს და იმ გზაზე, სადაც ეჭვმიტანილი მოძრაობდა, სამათხოვროდ დასვეს. პირველ დღეს კაცმა გოგოს ყურადღება არ მიაქცია, არც – მეორე დღეს, მაგრამ მესამე დღეს, როცა გოგონამ ხურდა სთხოვა, ხარბად აათვალიერ-ჩაათვალიერა. რა თქმა უნდა, ხურდა მისცა, დაუყვავა და უთხრა, ხვალაც აქ მოდი, ეგებ, რამე მოვიფიქროთ, შენნაირ კარგ გოგოს მათხოვრობა როგორ ეკადრებაო. მეორე დღეს გოგონა ადგილზე იყო, სამართალდამცავები პროცესს შორიდან უყურებდნენ და უხარისხო, მაგრამ მაინც ვიდეოფირით იღებდნენ (წესით, ეს ფირი შსს-ს არქივში დაცული დღემდე უნდა იყოს). მამაკაცმა გოგონა იქვე კაფეში დაპატიჟა, ნამცხვარი და წვენი უყიდა, შემდეგ კი ისევ იმ ადგილზე, მეორე დღისთვის დაიბარა და დაპირდა, სამსახურს გიშოვიო.

„ყველაფერთან ერთად, ისიც გავითვალისწინე, რომ გოგონას მამას იარაღი ჩამოვართვი. არ მინდოდა, მას მამობრივი ინსტიქტების გამო გაესროლა და ყველაფერი წყალში ჩაეყარა. სინამდვილეში, სროლას მეც სიამოვნებით განვახორციელებდი, მაგრამ ეს კაცი ცოცხალი გვჭირდებოდა და თან როგორი ცოცხალი – მას წვრილად უნდა მოეყოლა ყველა კლიენტის შესახებ და ეს ადამიანები აგვეკრიფა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, გოგონა ისევ მივიდა და მამაკაცმა ერთ-ერთი ოჯახისთვის სახლის დასფთავება შესთავაზა. გოგონამ თავი დაუქნია, კაცმა კი უთხრა, ახლა წადი, იბანავე, ჭუჭყიანი ხომ არ მიხვალ იმ ხალხთან, ორ საათში, აქ გელოდებიო. ორ საათში, შეხვედრის ადგილზე ოცამდე ოპერმუშაკი იმყოფებოდა და მოუთმენლად ელოდა უცნობის გამოჩენას, რომელსაც გოგონა „სახლის დასალაგებლად“ უნდა წაეყვანა. ისიც მალე გამოჩნდა, 60 წელს გადაცილებული მამაკაცი, დინჯად მოაბიჯებდა, გოგონას მუშტრის თვალით ახედა, რაღაც ჩაილაპარაკა, მერე მამაკაცს კონვერტი გადასცა, გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, მერე ხელი ხელში ჩასჭიდა და წაიყვანა. ათი ნაბიჯიც არ ექნებოდათ გადადგმული, როცა ორივე მამაკაცს ხელები ამოუგრიხეს და ბორკილები დაადეს. გოგონას „გამყიდველი“ არაფრით გამორჩული ნაძირალა აღმოჩნდა, „მყიდველი“ – ახლადგახსნილი „უმაღლესი სასწავლებლის“ პროფესორი. რა თქმა უნდა, მან ყველაფერი უარყო, მეტიც – ირწმუნებოდა, წარმოდგენა არ მაქვს, რაზე მესაუბრებით, გოგონა სახლის დასალაგებლად მჭირდებოდა, ჩემი ცოლი იმდენად მოხუცია, სიარული უჭირს და ამიტომ მინდოდა სახლი მას დაელაგებინაო. ცოტა უცნაური ჩანდა, კაცს თუ სახლში ცოლი ელოდა, იქ გოგონას ვერ მიიყვანდა, მაგრამ... იქნება, არც ელოდა? ამიტომ, მასთან სახლში წავიდნენ და ნახეს, რომ თბილისის ცენტრში, ოთხოთახიანი ბინა საუცხოოდ იყო მოწყობილი. პროფესორის ცოლი მართლაც ძლივს გადაადგილდებოდა, სამართალდამცავების დანახვამ გააკვირვა და როცა ჰკითხეს, ქმარი სად არისო, უპასუხა, მალე მოვა, დღეს აბიტურიენტი ჰყავსო და ის ოთახი ანახა, სადაც ქმარი „აბიტურიენტებს“ ამეცადინებდა და მეცადინეობის პროცესში, ცოლს იქ შესვლა სასტიკად ჰქონდა აკრძალული. პრინციპში, რომც მოენდომებინა, ვერ მოახერხებდა, რადგან კაცი კარს შიგნიდან კეტავდა.

ოთახში ერთი ლოგინი, მაგიდა და წიგნების კარადა იდგა, კედლებზე სქელი ხალიჩები ეკიდა და კაბინეტის კარიც მასიური იყო. სამართალდამცავებმა შეამოწმეს და თუ ძალიან არ მოინდომებდი, ოთახიდან ყვირილის ხმის გაგონება თითქმის შეუძლებელი იყო. ძალოვნებმა თეთრეული ექსპერტიზაზე წაიღეს და ჩიხოლს თან ლეიბიც გააყოლეს. სწორედ ლეიბზე აღმოჩნდა სისხლის რამდენიმე ჯგუფი და დაკავებულმაც... კამერაში თავი ჩამოიხრჩო. მაშინ ისიც ითქვა, მილიციის განყოფილებაში პროფესორი მოკლესო, მაგრამ რეალობა სხვაგვარი გახლდათ. რაც შეეხება მთავარ ეჭვმიტანილს, ის ძალიან კი გაჯიუტდა (მით უმეტეს, ადვოკატმა უთხრა, რომ პროფესორმა თავი მოიკლა), მაგრამ როცა სამართალდამცავებმა აუხსნეს, საერთო კამერაში გადაგიყვანთ და იქ აგიხსნიან, როგორ ისჯება შენი საქმიანობაო, თავი დახარა და დაიწყო:

„აბა, რა უნდა მექნაა, ოჯახი ხომ უნდა მერჩინა? სამსახური არსად არის, მოპარვა მე არ შემიძლია, ის გოგონები კი ამ ყველაფრისთვის სოლიდურ თანხას იღებდნენ. მაინც რა აზრი ჰქონდა, ვიღაცას ქუჩაში მაინც მისცემდნენ, არეულია ქვეყანა, ვერ ხედავთ? ასე კი, სარგებელს ისინიც ნახულობდნენ და მეც“, – თქვა დაკავებულმა და კიდევ მხოლოდ ორი პიროვნების სახელი და გვარი დაასახელა, მხოლოდ ისინი მყავდა კლიენტებად და მეტი არც მჭირდებოდა, რადგან ყველას ვერც ვენდობოდი და ისინი ნებისმიერ დროს მზად იყვნენ გოგონების მისაღებად“...

ძალოვნებმა ხსენებული ორი პიროვნება მალევე დააკავეს და გაასამართლეს. საქმის ორგანიზატორი კი სასამართლომდე ვერ მივიდა, რადგან ის სასამართლოს სარდაფში არსებულ „ფუქსებში“ სხვა პატიმრებმა გაგუდეს.

ბათო ჯაფარიძე

სოციალურ ქსელში ხშირად შეხვდებით სტატუსს - „ღმერთის მოწოდება, „გიყვარდეთ ადამიანები“, მხოლოდ ძაღლებმა გაიგეს“. ვისაც ადამიანის ოთხფეხა მეგობართან ჰქონია შეხება, დამეთანხმება, რომ ძაღლებმა მართლაც სხვაგვარი სიყვარული და ერთგულება იციან. სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებს იყენებენ, როგორც ომის, ასევე, მშვიდობიანობის პერიოდში. ძაღლებს არაერთი ათასი ადამიანის სიცოცხლე აქვთ გადარჩენილი. თუნდაც ბოლოს მომხდარი ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა ავიღოთ, როცა თურქეთი და სირია მიწისძვრამ შეაზანზარა - ძაღლებმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნეს. ისინი მათ მიწისქვეშ ეძებდნენ და მაშველებს ყეფით ატყობინებდნენ, რომ ბეტონის ფილებისა, თუ მიწის გროვის ქვეშ ადამიანები იყვნენ და შველას ითხოვდნენ.

ვინ იყო ბიზნესმენი, რომელიც კოჯრის გზაზე მოკლული იპოვეს

გერის სისხლიანი შურისძიება

შემთხვევა, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. უფრო ზუსტად, მოხდა მაშინ, როცა სათავეში დღევანდელი ხელისუფლება სულ რაღაც ექვსი თვის მოსული იყო და იმ პერიოდში კრიმინალის გასაშუქებლად მედიას ნაკლებად ეცალა - ძირითადი დრო პოლიტიკურ მოვლენებს ეთმობოდა და ახალ მინისტრებს გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენ ჟურნალისტები. ახალგაზრდა მამაკაცი, კოჯრის გზაზე, ქარსაცავ ზოლთან, გარდაცვლილი ნახეს. მისი ძაღლიც იქვე იყო და ძაღლი რომ სწორედ მისი გახლდათ, სამართალდამცავები მარტივად მიხვდნენ - საბელი ისევ მაჯაზე ჰქონდა და ძაღლი ახლოს არავის უშვებდა. მკვდარი პატრონისთვის რომ მოეცილებინათ, სპეციალური სამსახური გამოიძახეს, ოთხფეხა ცხოველი დააძინეს და ისე მოაშორეს.

„მამაკაცის სიკვდილის მიზეზი ორი ცეცხლნასროლი ჭრილობაა. ერთი გულში მოხვდა, მეორე გულს ოდნავ ასცდა, მაგრამ მსროლელი მის დაჭრას არ აპირებდა, ის მოსაკლავად იყო მისული“, - ეწერა ექსპერტის დასკვნაში. გამომძიებლებმა თავიდან იფიქრეს, რომ თავდასხმა ძარცვის მიზნით მოხდა - გარდაცვლილს ჯიბეში კონვერტში ჩადებული 8 ათასი დოლარი ჰქონდა, მაგრამ ეს მალევე გამორიცხეს - თავდამსხმელს ფულის წაღება რომ სდომებოდა, აუცილებლად წაიღებდა და ერთ ტყვიას ძაღლისთვისაც გაიმეტებდა, სადაც კაცი მოკლა, იქ ძაღლის მოკვლა რა პრობლემა იყო.

გარდაცვლილი საკმაოდ შეძლებული გახლდათ. საკუთარი ბიზნესი ჰქონდა, ცოლი, შვილი... თუმცა, ძიების პროცესში გამოჩნდა, რომ მან ცოლად ქვრივი ქალი შეირთო, რომელსაც პატარა ბიჭი ჰყავდა. წყვილს მეტი ბავშვი არ ეყოლა და გერს საკუთარი შვილივით ზრდიდა. ბიჭი ახლა 20 წლის იყო, მას ჰქონდა ყველაფერი, რაც ამ ასაკში შეეძლო ენატრა და მამინაცვლის სიკვდილს ძალიან განიცდიდა. მეორედ დაქვრივებული ქალი ქმრის გარდაცვალებას მტკიცედ შეხვდა, მეც სიმსივნე მაქვს, მალე შევხვდები საიქიოში და ღმერთს მადლობა, შვილს ისეთ ასაკში არ ვტოვებ, საკუთარი თავის მოვლა შეუძლიაო. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეჭვი ბიზნესპარტნიორებზე მიიტანეს, მაგრამ ამ მიმართლებით საინტერესო არაფერი იყო - კაცს ბიზნესპარტნიორები არ ჰყავდა, ყველაფერი ასი პროცენტით მისი იყო და შესაბამისად, მისი მოშორება იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი ოჯახს დარჩებოდა და არა - კონკრეტულ პიროვნებას. მეტიც, მის მიერ დასაქმებული ადამიანები თავში ხელებს იცემდნენ, ძალიან კარგი უფროსი მოგვიკვდა, ახლა რა გვეშველება, ყველას ეხმარებოდა, გვერდში ედგა და ხელს უმართავდაო.

მართლაც, გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ თუ ბიზნესს კარგი დროება ედგა, შეფი პრემიებს არ იშურებდა და ყველამ იცოდა, კარგი მუშაობა აუცილებლად დაუფასდებოდა. ამიტომ, საქმე საათივით იყო აწყობილი, მომსახურე პერსონალი ცდილობდა, იმაზე მეტი ეკეთებინა, ვიდრე შეეძლო და ხელმძღვანელი ყველაფერ ამას ამჩნევდა, აფასებდა და თანამშრომლებს უფრთხილდებოდა.

„წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლებოდა მოეკლა. ისიც მიკვირს, ჯიბეში ამხელა თანხა რომ ედო, ზოგადად, დიდი ფულით მოძრაობა არასდროს უყვარდა. თუ რამე ჰქონდა, ყველაფერს ცოლ-შვილს უტოვებდა, ბიჭს მართლა საკუთარივით ზრდიდა და არასდროს შემიმჩნევია, რომ რამე უკმაყოფილება ჰქონოდა ოჯახში. მეტიც, ბიჭი სამსახურში დაჰყავდა, რაღაცებს ასწავლიდა, ეუბნებოდა, ორ-სამ წელში მე გვერდზე გავდგები, სადმე სოფელში ვიცხოვრებ, ყველაფერს შენ უნდა გაუძღვეო. ცოლს რომ სიმსივნე დაუდგინეს, ლამის გაგიჟდა, ყველაფერს აკეთებდა მისთვის, მაგრამ დაავადებას ვერ მოერია, თუმცა გვერდიდან არ შორდებოდა. არც გამიგია, ოდესმე საყვარელი ჰყოლოდა, ცოლის ერთგული იყო. ამიტომ, რამდენჯერაც უნდა დავფიქრდე, ვინ გაიმეტა, პასუხი არ მაქვს“, - ეს სიტყვები მისმა მეგობარმა თქვა და მას დანარჩენებიც დაეთანხმნენ. არადა, ხომ არ შეიძლებოდა, ვინმეს შემთხვევით მოეკლა? ვთქვათ, გზის პირზე, ვინმეს გაუვარდა და შემთხვევით მოარტყა, მაგრამ ორჯერ? თანაც, ექსპერტის დასკვნით, გასროლა დაახლოებით 3-4 მეტრის მანძლიდან მოხდა ანუ ძალიან ახლოდან და შემთხვევითობა გამორიცხული იყო.

გასვენებაზე ოპერმუშაკები ხალხში გაიფანტნენ, ეგებ, ვინმეს რამე ისეთი წამოსცდენოდა, რომ გამოძიებისთვის მიმართულება მიეცა. საინტერესოს არავინ არაფერს ამბობდა, ყველა მხოლოდ იმას კითხულობდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი კეთილშობილი კაცის მკვლელი. ძალოვნები სასაფლაომდე მიჰყვნენ პროცესიას, შემდეგ კი დაიშალნენ და ის იყო, ერთ-ერთი მათგანი მანქანაში ჯდებოდა, როცა ახალგაზრდა გოგონა მიუახლოვდა და ჩუმად ჰკითხა - „გამომძიებელი თქვენ ხართ? იარაღი გაქვთ და ვიფიქრე, რომ თქვენ პოლიციიდან ხართ“... ოპერმუშაკმა თავი დაუქნია და გოგონამ მეორე კითხვა დასვა - „მამაჩემის მკვლელი არ გიპოვიათ?“ სამართალდამცავმა პირი დააღო და გოგონა განყოფილებაში წაიყვანა.

„ის, რომ მამაჩემი იყო, დაახლოებით, ორი თვის წინ გავიგე. დედა მშობიარობას გადაჰყვა, ბებია არაფერს მეუბნებოდა და ახლა, როცა ბებიაც დამეღუპა, გასვენებაზე დედის ერთ-ერთმა მეგობარმა მითხრა, მამაშენი ესა და ეს კაციაო. სოფლიდან ჩამოვედი, მოვაკითხე, თავიდან გამიცინა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა, გეშლება რაღაც, შვილი რომ მყოლოდა, მეცოდინებოდაო. მერე მეორედ რომ მივედი, ხელი მომკიდა და ანალიზების ჩასაბარებლად წამიყვანა. პასუხი რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა, ძალიან. მითხრა კიდეც, ჩემს ცოლს გაგაცნობ, მაგრამ ჯერ უნდა შევამზადო, ავად არისო. მე ქალაქში გაჩერების შესაძლებლობა არ მქონდა და თავად შემოთავაზა, თბილისში ბინა დაკეტილი მაქვს, იქ იცხოვრეო, მაგრამ ბინა ცარიელი იყო და ავეჯით უნდა გაგვეწყო. არ ვიცი, ვის შეუთანხმდა, მაგრამ მითხრა, ყველაფერს მოიტანენ, ტექნიკას, ავეჯს, ჭურჭელს და ყველაფერი ეს, დაახლოებით, 8 ათასი დოლარი ჯდებაო. იმ დღეს უნდა შევხვედროდით, მაგრამ არ მოვიდა და მერე გავიგე, რაც მოხდა“, - თქვა გოგონამ.

სამართალდამცავები მაშინვე გარდაცვლილის ადვოკატთან გავარდნენ, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა, ჩემს კლიენტს ბიზნესში ვეხმარებოდი, თორემ არც ანდერძი ჰქონია დაწერილი და არც ქონების გაყოფა-განაწილებაზე უზრუნია, როგორც ვიცი, ყველაფერს ბიჭს უტოვებდაო. გამომძიებლებმა ახლა გოგონას ჰკითხეს, მამაშენის გერს თუ იცნობდიო და მან თავი დაუქნია, მანქანიდან დამანახა ერთხელ, მაგრამ ახლოდან არ გამიცვნიაო. და სწორედ ამ დროს, გამოძიებას ერთ-ერთმა მეგობარმა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა - ძაღლი, რომელიც პატრონს თან ახლდა, ძალიან ავი იყო, ამიტომ ასეირნებდა ხოლმე მოშორებით, იქ, სადაც ხალხი არ დადიოდა. აგრესიულ ძაღლს მხოლოდ მოკლული და მისი ცოლ-შვილი ეკარებოდა, დანარჩენები კი მიახლოებას ვერ ბედავდნენ. სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს - ექსპერტის მტკიცებით, სროლა ყველაზე დიდი, 4 მეტრიდან მოხდა, საბელი კი 5-6 მეტრზე იყო მოშვებული ანუ ძაღლმა მკვლელი პატრონამდე მიუშვა, არ უკბინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ... ასე ახლოს მისვლა მხოლოდ გერს შეეძლო, ავადმყოფობის გამო, ცოლს სიარული უჭირდა. ბიჭი დააკავეს და მის ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს. როგორც ჩანს, არ ელოდა, რომ ძიება მის კვალზე ასე მალე გავიდოდა და მართალია, იარაღი შინ არ ჰქონდა, მაგრამ ორი ცალი ტყვია იპოვეს. ეს უკვე სამხილი იყო და ამას გარდა, მისი თითებიდან აღებულმა სინჯმა დენთის შემცველობა აჩვენა.

„არ მეგონა, რომ მამაჩემს ვესროდი. ჰო, მამაჩემს, რადგან სწორედ მან გამზარდა. როცა დედა ცუდად გახდა, თვალთვალი დავიწყე და რამდენჯერმე მამას უკან გავყევი, მაინტერესებდა, ვინმე ხომ არ გაიჩინა. ალბათ, ეს შინაგანად, ეგოისტურად მქონდა მეხსიერებაში, რომ დედაჩემის გარდა, მას სხვა ქალი არ უნდა ჰყოლოდა. ბოლოს, ვიღაც ახალგაზრდა გოგოსთან ერთად დავინახე და გავბრაზდი. ჩავთვალე, რომ დედა დაივიწყა და რომანი გააბა. იმ დღეს საქმის გასარჩევად მივედი და გოგოზე ვკითხე. დაიბნა და მითხრა, ჩემი შვილიაო. არ დავუჯერე, რა შვილი, რის შვილი... ისიც მითხრა, ბინას ვაძლევ, აგერ, ავეჯისა და ტექნიკის ფული ჯიბეში მაქვს, არ მინდოდა, ასე გაგეგოთ, აუცილებლად მოვიყვანდი სახლშიო. მერე ის ვიფიქრე, რომ ყველაფერს იმ გოგოს მისცემდა, მე ვინ ვიყავი, ვიღაცა... დედის სიკვდილის შემდეგ, საერთოდ არავინ ვიქნებოდი და გავისროლე“, - განაცხადა ბიჭმა.

სასამართლომ მამის მკვლელობისთვის მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლო პროცესს დედა ვერ დაესწრო, რადგან როცა გაიგო, ვინ მოკლა მისი ქმარი, გულმა ვერ გაუძლო.

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1977 წელს დაბადებული თ.ი. დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დედას – 1946 წელს დაბადებულ ე.ქ.-ს, ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, უნგრეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს სტუმრობს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, დელეგაციასთან ერთად, უნგრეთში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

ოფიციალური სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრი დელეგაციასთან ერთად, უნგრეთის ეროვნულ პოლიციას ესტუმრა და დეტალური ინფორმაცია მიიღო საპოლიციო დანაყოფების საქმიანობის სპეციფიკის შესახებ. ვახტანგ გომელაურმა ასევე მოინახულა უნგრეთის ეროვნული პოლიციის სპეციალურ დავალებათა დანაყოფი, რომელიც სპეციალური ოპერაციების განხორციელებისას, ადგილობრივი პოლიციის დახმარებას უზრუნველყოფს.

ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაური, დელეგაციის წევრებთან ერთად, ეწვია უნგრეთის კონტრ-ტერორისტულ ცენტრს და დეტალურად გაეცნო ინფორმაციას ცენტრის საქმიანობის შესახებ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაური უნგრელ კოლეგას, შანდორ პინტერს უკვე შეხვდა, რა დროსაც მხარეებმა სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

პირისპირ შეხვედრის დასრულების შემდეგ, ქართული დელეგაციის პატივსაცემად ოფიციალური სადილი გაიმართა, სადაც სტუმრებს შანდორ პინტერმა უმასპინძლა. შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უნგრეთში დღეს დასრულდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის „MI – 8“ ტიპის ვერტმფრენის ავარიულ ინციდენტთან დაკავშირებით.

სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა, მყინვარწვერზე, მეტეოსადგურზე, პოლონელი მაშველების დახმარების გაწევის დროს, ავარიული ინციდენტი განიცადა.

აღნიშნული ქარის სწრაფი და დაღმავალი მასების უეცარმა გადაადგილებამ განაპირობა.

დაღმავალი ჰაერის მასების ცვალებადობის შედეგად, მოხდა ვერტმფრენის წინა შასის მიწასთან შეხება, რამაც გამოიწვია საფრენი აპარატის ამორტიზება, თუმცა გამოცდილმა და პროფესიონალმა, მფრინავებმა მოახერხეს ვერტმფრენის სტაბილიზება, მეორე წრის განხორციელება, მყინვარწვერიდან თბილისის მიმართულებით გამოფრენა და სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის ბაზაზე მშვიდობიანად დაშვება.

პოლიციამ კასპის მუნიციპალიტეტში არასრულწლოვნებს შორის მომხდარ ძალადობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული რ.ი. ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 26 ივნისს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერმაში, ორ არასრულწლოვანს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა ერთ-ერთი არასრულწლოვნის მამისთვის – რ.ი.-სთვის, რომელმაც შვილს დაპირისპირებაში მონაწილე მოზარდის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების განხორციელებისკენ მოუწოდა. რის შემდეგაც არასრულწლოვნები კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დაპირისპირების შედეგად, ორივე მათგანმა სხეულზე ზედაპირული დაზიანებები მიიღეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რ.ი. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, შანდორ პინტერმა ვახტანგ გომელაურს ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვახტანგ გომელაურის ოფიციალური სამუშაო ვიზიტი უნგრეთში გრძელდება.

უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, ბუდაპეშტში, ქართული დელეგაციის პატივსაცემად, ოფიციალური სადილი გაიმართა, სადაც სტუმრებს უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, შანდორ პინტერმა უმასპინძლა.

უნგრეთში ოფიციალური სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაურსა და მის უნგრელ კოლეგას შორის შედგა ოფიციალური ორმხრივი შეხვედრა, სადაც მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და სამომავლო პერსპექტივები მიმოიხილეს.

შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს მათ უწყებებს შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელობაზე და მზაობა გამოთქვეს აქტიურად გააგრძელონ მუშაობა ამ მიმართულებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, წარსულში ნასამართლევი სამი პირი დააკავეს.

1972 წელს დაბადებული ა.შ. დაკავებულია „ქურდული სამყაროს წევრობისთვის“, 1995 წელს დაბადებული ა.ხ. „ქურდული სამყაროს წევრის მიმართვისთვის“, ხოლო 2004 წელს დაბადებული გ.შ.-ს, მეტსახელად „ჩუქჩა“-ს „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერაში“ ედება ბრალი.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულ ა.ხ.-სა და მის თანამშრომელს შორის ფინანსური დავა წარმოიშვა. წარმოქმნილი უთანხმოების გადაწყვეტის მიზნით, ა.ხ.-მ დახმარებისთვის მიმართა „ქურდული სამყაროს წევრ“ ა.შ.-ს და კრიმინალური გავლენის გამოყენებით, დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა სთხოვა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს წევრის“, ა.შ.-ს დავალებით მოწყობილ „ქურდულ გარჩევაში“, ბრალდებული ა.ხ., გ.შ. და მოდავე მხარე მონაწილეობდნენ. „ქურდული წესით გარჩევისას“, კრიმინალურმა ავტორიტეტმა ა.შ-მ, მოდავე მხარეს, სადაო თანხის სრულად ამოწურვამდე, მისთვის ყოველთვიურად, გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა დააკისრა.

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა გ.შ.-მ, რომელიც შემდგომ სისტემატურად ახორციელებდა მუქარას მოდავე მხარეზე.

ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს წევრობისთვის“, „ქურდული სამყაროს მიმართვისთვის“ და „ქურდული სამყაროს მხარდაჭერისთვის“ ბრალდებული პირები აქტიურად მონაწილეობდნენ პირადი კონფლიქტებისა თუ ფინანსური დავების „ქურდული წესებით“ გადაწყვეტაში.

პოლიციამ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე, მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე, მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

Police.ge

სასწაული არ მოხდა – საქართველო ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობა

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. დასრულდა ცოტა უცნაურად – ჩვენს გუნდს არცერთი შეხვედრა არ წაუგია, თუმცა მაინც გამოვარდა – ისრაელის გუნდთან, მეოთხედფინალში, პენალტების სერიაში დამარცხდა.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გუნდი ბევრს უტევდა, მაგრამ 120 წუთი (ძირითადი და დამატებითი) ისე მიილია, კარში ზუსტად არცერთხელ დაგვირტყამს. შედეგად, ნახევარფინალში ისრაელი გავიდა.

ამოთქვეს – დე ლაურენტისმა, კვარაცხელიას სანაცვლოდ, 150 მილიონი მოითხოვა

იტალიური „ნაპოლის“ პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი კი ამტკიცებდა, ხვიჩა კვარაცხელია ხელშეუხებელია და მას არავითარ შემთხვევაში არ გავყიდიო, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ის მოლაპარაკებებს აწარმოებდა და მზად იყო, ქართველ შემტევს შელეოდა. ამის შესახებ ესპანურმა მედიამ დაწერა და რაც მთავარია, დამადასტურებელი ფაქტებიც მოიყვანა. თურმე, ქართველის გადაბირება მადრიდის „რეალს“ სურდა და კარლო ანჩელოტიმაც აღიარა, რომ მისი შეძენით დაინტერესებული იყო, მაგრამ...

„კვარაცხელიას სანაცვლოდ, დე ლაურენტისმა 150 მილიონი ევრო მოითხოვა, რაც მადრიდელებს ეძვირათ. ვინ იცის, მომავალი სეზონის ბოლოს ქართველი ამაზე მეტი ღირდეს, მაგრამ მხოლოდ ერთი წარმატებული სეზონი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი, 150 მილიონად გაიყიდოს. სწორედ, დე ლაურენტისთან წარმოებული წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ გადაერთო „რეალი“ ჯუდ ბელინგემზე და ის შეიძინა“, – წერენ ესპანელები.

ბელინგემის სანაცვლოდ, მადრიდელებმა 103 მილიონი ევრო გადაიხადეს ანუ ამდენივეს გადახდას კვარაცხელიაში აპირებდნენ, მაგრამ დე ლაურენტისმა უარი თქვა, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. ინგლისური „ნიუკასლი“ მზად არის, ქართველის სანაცვლოდ, 100 მილიონი გადაიხადოს და თავად ფეხბურთელს წლიურ ჯამაგირად 10 მილიონი დაუნიშნოს, რაც მის ამჟამინდელ ანაზღაურებაზე ოთხჯერ მეტია, თუმცა დე ლაურენტისი ისევ ჯიუტობს და 150 მილიონს ითხოვს. იმის გათვალისწინებით, რომ „ნიუკასლის“ მფლობელი არაბი შეიხია, არ არის გამორიცხული, სურვილის დასაკმაყოფილებლად, მან 150 მილიონიც გადაიხადოს და კვარაცხელია პრემიერლიგის გზას გაუყენოს.

ალის – ბირობის ჯვეობაზე „ფროზინონეს“ ფეხბურთელია

წინა ნომერშიც გამცნეთ, რომ იტალიაში, შესაძლოა, ქართული ლეგონის რიცხვი გაზრდილიყო და გიორგი კვერნაძეს კარიერა აპენინებზე გაეგრძელებინა. ვარაუდი გამართლდა და „ფროზინონეს“ სპორტულმა დირექტორმა გვიდო ანჯელოციმ დაადასტურა, რომ ქართველი ფეხბურთელი კლუბთან კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს.

ამასთან, ანჯელოციმ ისიც თქვა, ფაბიო გროსო, რომელმაც გუნდი სერია B-დან სერია A-ში გადაიყვანა, ჩვენ არ გაგვიშვია, მას უფრო სარფიანი წინადადებით „სამპდორიამ“ მიმართა და ის თავად წავიდაო. შეგახსენებთ, რომ „სამპდორია“ წელს იტალიის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა და ახლა გროსო შეეცდება, ორ წელიწადში, უძლიერესთა შორის ასპარეზობის საგზური მეორე კლუბსაც მოუტანოს.

რაც შეეხება კვერნაძეს, ის ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელია, 7 თებერვალს, 20 წლის გახდა, 183 სანტიმეტრია, ამპლუით თავდამსხმელი გახლავთ და იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე სეზონში გოლი არ გაუტანია, ყველა აღიარებს, ამ ბიჭს დიდი მომავალი აქვს. ისე, ანჯელოციმ არც ის დამალა, რომ კვერნაძის შეძენა მათ... ხვიჩა კვარაცხელიას აგენტმა, მამუკა ჯუღელმა ურჩია, რომელიც კვერნაძის აგენტიც გახლავთ.

ძიუდოისტებმა ევროპული თამაშები მოიგეს

საქართველოს ძიუდოს ნაკრებმა, კრაკოვში მიმდინარე მესამე ევროპულ თამაშებზე იმარჯვა. მერვედფინალში, ჩვენმა გუნდმა ხორვატია – 4:1 დაამარცხა, მეოთხედფინალში, თურქეთის ნაკრებსაც ამავე ანგარიშით – 4:1 მოუგო, ნახევარფინალში იტალიის ძლიერ გუნდს – 4:3 სძლია, ფინალში კი, გერმანიას უპრობლემოდ – 4:1 მოუგო. არადა, პირველი შეხვედრა გერმანელებმა მოიგეს და იმედიც გაუჩნდათ, რომ მოგებას მოახერხებდნენ, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი შეხვედრა და ოქროს მედლები საქართველოს სასარგებლოდ დათმეს.

საზონოვმა მოსკოვური კარიერა თბილისში დაასრულა

მოსკოვის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მცველი, საბა საზონოვი, უდიდესი ალბათობით, კარიერას იტალიურ გუნდში გააგრძელებს. საბამ, როგორც ეროვნული, ისე ახალგაზრდული ნაკრების რიგებში თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. მისი კლასი, განსაკუთრებით, ახალგაზრდული ნაკრების მიერ ჩატარებულ შეხვედრებში გამოჩნდა და რაღა თქმა უნდა, საზონოვის გადაბირებით არაერთი კლუბი დაინტერესდა. მათ შორის, ყველაზე აქტიურად საქმეში გერმანული „ჰამბურგი“ ჩაერთო. როგორც ალემანური მედია წერს, „ჰამბურგის“ წარმომადგენელი მოსკოველებს დაუკავშირდნენ და კონკრეტული თანხაც შესთავაზეს, თუმცა...

„გერმანულ კლუბს შანსი არ აქვს, რადგან საზონოვის შეძენას რამდენიმე იტალიური კლუბი აპირებს. აპენინებიდან საქართველოში, კონკრეტულად საზონოვზე დასაკვირვებლად, უკვე რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი ჩამოვიდა და ისინი მოსკოველებს აუცილებლად დაუკავშირდებიან“, – წერს იტალიური პრესა.

მოგეხსენებათ, უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ, რუსულ საფეხბურთო კლუბებსა თუ ნაკრებებს, საერთაშორისო ასპარეზზე გამოსლა აეკრძალათ და რომ არა საქართველოს ნაკრები, საზონოვის თამაშს ევროპელები კარგა ხანს ვერ ნახავდნენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბას მოსკოვური კარიერა თბილისში დასრულდა და ის ახალ სეზონს ევროპულ კლუბში დაიწყებს.

პატარა „ბორჯღალოსნები“ ჯგუფიდან გასვლასთან ახლოს არიან

მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე, C ჯგუფში ანუ იქ, სადაც საქართველო ასპარეზობს, სიტუაცია იმდენად არეულია, რომ ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა. ორი ტურის შემდეგ, ოთხივე გუნდს თითო მოგება და თითო წაგება აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ტურში გამარჯვებულები ჯგუფიდან აუცილებლად გავლენ. საქართველო ბოლო ტურში იტალიას ხვდება, არგენტინა კი სამხრეთ აფრიკას. ყველაფერი მას შემდეგ აირია, რაც იტალიამ, ყველასთვის მოულოდნელად, სამხრეთ აფრიკა დაამარცხა, ხოლო საქართველომ, ასევე ყველასთვის მოულოდნელად, არგენტინას მშრალი ანგარიშით – 20:0 მოუგო.

ის, რომ იტალიელებმა სამხრეთ აფრიკა დაამარცხეს, ბევრს არაფერს ნიშნავს და ახლავე გეტყვით, რატომ. მანამდე, იტალიელებმა არგენტინასთან უშანსოდ წააგეს, იმ არგენტინასთან, რომელსაც საქართველომ ასევე უშანსოდ მოუგო და ბოლო ტურისთვის სიტუაცია ამიტომაც დაიძაბა. სპეციალისტების აზრით, თუ საქართველო იტალიას დაამარცხებს და ჯგუფიდან გავა, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ქართველები ექვსი ერის კარზე ძალუმად კიდევ ერთხელ დააკაკუნებენ და მსოფლიო რაგბის მამებს აუცილებლად მოუწევთ რამის მოფიქრება იმისთვის, რომ ქართველებს, უძლიერესთა შორის, რეგულარულად თამაშის უფლება მიეცეს.

კატასტროფა – „სევილიამ“ ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა

ესპანურმა „სევილიამ“ მიმდინარე სეზონი პრიმერა-დივიზიონში მე-11 ადგილზე კი დაასრულა, მაგრამ კონფერენსლიგა მოიგო და თასის გარდა, ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში, კლუბს უეფასგან სულ ცოტა, 20 მილიონი ევრო შეხვდება და თუ ლიგაზე წინ წაიწევს, ბევრად მეტი, თუმცა... ვინ ელოდება მომავალ სეზონს, კლუბმა ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა.

„სეზონის ბოლოს დავთვალეთ და გავარკვიეთ, რომ დავალიანება 90 მილიონი ევროა. რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვით, ამ თანხას ვერ ვიშოვით. ამიტომ, კლუბის აბსოლუტურად ყველა მოთამაშე ტრანსფერზეა დაყენებული, შეგიძლიათ, ნებისმიერის შესაძენად მოგვმართოთ და გაყიდვები მაშინ შეჩერდება, როცა 90 მილიონს მოვაგროვებთ“, – ნათქვამია კლუბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„გრუ“-ს სკოლა, სადაც პროფესიონალ მკვლელებს ამზადებენ

მე-3 გვერდიდან



როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, აუდიო ზომბირების ანუ სიმულაციის ერთ-ერთი ხერხი, რომელსაც სპეცსმსახური იყენებს, ასეთია: წინასწარ შერჩეულ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე ზემოქმედებისთვის, მისთვის საყვარელი მელოდიის დისკზე ჩაწერისას, სათანადო შენელებული, ე.წ. „შთაგონების ტექსტის“ „დატანა“ ხდება, თუმცა ამ ტექსტის სიჩქარე 10-15-ჯერაა შენელებული და, მელოდიასთან ერთად, ობიექტს მხოლოდ ყრუ ხმაური ესმის, რაც შეიძლება, ცუდი ჩანაწერით ახსნას. ამ ხერხით ადამიანის ქვეცნობიერში „შთაგონებითი ინფორმაციის“ შეტანა ხდება. როგორც „ვერსიას“ განუმარტეს, ამ მეთოდს ყველაზე აქტიურად „გრუ“-ს ბალაშიხას სკოლის კურსდამთავრებულები იყენებენ.

ცნობისთვის: ბალაშიხას სკოლა ის სპეცსასწავლებელია, სადაც რუსული სპეცსამსახურები პროფესიონალ დივერსანტებსა და მკვლელებს ამზადებენ. ისე, როგორც წყარომ განმარტა, ბალაშიხას სკოლა რამდენიმე ცნობილ ქართველსაც აქვს დამთავრებული.

„შეიძლება, არ დაჯეროთ, მაგრამ ისინი, რომლებსაც ბალაშიხას სკოლა აქვთ დამთავრებული, დღესაც აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე არიან, – ეუბნება „ვერსიას“ ინკოგნიტო სპეცსამსახურელი და თხრობას აგრძელებს, – **როცა სპეცსამსახური ობიექტის შესწავლას იწყებს, მის შესახებ ყველა დეტალს არკვევს, იმასაც კი, თუ როგორი მუსიკა უყვარს და დღეში რამდენჯერ უსმენს. ისე, ამ მეთოდს, როგორც წესი, მაშინ იყენებენ, როცა ვთქვათ, რომელიმე პოლიტიკოსი ან საზოგადოებისთვის ცნობილი პერსონა სადმე სასწავლებლად მიდის. მისი ორიენტირების შეცვლა, სწორედ ამ დროს ხდება“.**

ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდი, როგორც „ვერსიის“ კონფიდენტი ამბობს, ელექტროშოკია, რომლის ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედება სპეცსამსახურებს სრულფასოვნად აქვთ შესწავლილი.

„სწორედ ამიტომ იყენებენ ელექტროშოკს დაკითხვის დროს“, – ამბობს ინფორმატორი, რომლის განმარტებითაც, სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროშოკი არსებობს. ელექტრო დენი, რომელიც 10 მიკროამპერზე ნაკლებია, ძალიან სუსტად ითვლება. 20 მ/ა სუნთქვის მოშლას იწვევს, 70 მ/ა საგრძნობლად აფერხებს სუნთქვას, 100 მ/ა გამოყენებას გულის ფიბრილაცია მოჰყვება, რომელიც შეიძლება, სიკვდილით დამთავრდეს. 200 მიკროამპერი დამწვრობასაც იწვევს და სუნთქვასაც აჩერებს.

„ვერსიის“ წყაროს მონაცემებით, მეხსიერების მოშლისა და ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტების ჩასაკლავად, 50 ათასი ვოლტი საკმარისია, მაგრამ ამ დროს დენის სიმძლავრე მილიამპერს არ უნდა აღემატებოდეს, ელექტროიმპულსის ენერგია კი 0.3 ჯოულს არ სცილდებოდეს.

კონფიდენციალური წყარო აქცენტს ზომბირების კიდევ ერთ – ულტრაბგერით მეთოდზე აკეთებს, რომელიც აზროვნების სტრუქტურისა და ნერვიული სისტემის მოშლას, აგრეთვე, თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, მხედველობის გაუარესებას, სუნთქვის შეკვრასა და კონვულსიას იწვევს. შეიძლება, დაუჯერებელია, მაგრამ „ვერსიის“ კონფიდენტი გამოთქვამს გონივრულ ეჭვს, რომ 2007 წლის სისხლიან 7 ნოემბერს, ქართულმა სპეცრაზზმა მომიტიგეების წინაღმდეგ ზომბირების ელექტრომაგნიტური და მიკროტალღური გამოსხივების ულტრაბგერითი მეთოდი გამოიყენა:

„თუ გახსოვთ, 7 ნოემბერს, „პიკაპებზე“ სპეციალური მოწყობილობა იდგა და ზუზუნებდა. ელექტრომაგნიტური და მიკროტალღური გამოსხივების ზემოქმედებით, ადამიანი რეალობის შეგრძნებას კარგავს, ტონუსი იწევს ან ეცემა... ამ სახის ზემოქმედება, ასევე, იწვევს დაღლილობის, თავის ტკივილისა და ღებინების შეგრძნებას. ამასთან, შესაძლებელია, ადამიანის ინსტიქტური სფეროს სრული სტერილიზაცია, გულის დაზიანება, ტვინისა და ცენტრალური ნერვიული სისტემის ფუნქციის მოშლა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ელექტრომაგნიტური, მიკროტალღური გამოსხივებით ადამიანის თავის ტვინში ინფორმაციის შეტანაა შესაძლებელი... ჩემი აზრით, 7 ნოემბერს, სწორედ ზემაღალი სიხშირის გამოსხივება გამოიყენეს, რასაც ხალხის უფრო მეტი აღგზნება მოჰყვა. მეტიც, მომიტინგეებს ხელები დაუბუჟდათ და ღებინების შეგრძნება გაუჩნდათ. მართალია, ამას ცრემლსადენ გაზს აბრალებდნენ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ნაციონალებმა, სწორედ ზებგერითი გამაღიზიანებელი გამოიყენეს, თუმცა ამაზე არავინ არაფერს ამბობს. არადა, გამოძიებას, მინიმუმ, უნდა ეკითხა, რა ზუზუნებდა. ისე, საინტერესოა, ეს იარაღი ახლა სადაა. თუკი ამ კუთხით გამოძიება ოდესმე ჩატარდება, შეიძლება, დაიდოს დასკვნა, რომ მერაბიშვილმა და სხვებმა, საკუთარი ხალხის დასაზომბირებლად ზებგერითი გამაღიზიანებელი გამოიყენეს, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აკრძალულია“.

კონფიდენტმა „ვერსიას“ ადამიანების „დავერბოვკებისა“ და ზომბირების კიდევ არაერთი მეთოდის შესახებ უამბო, თუმცა ამჯერად, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, თემას აღარ განვავრცობთ და სპეცსამსახურის მუშაობის მეთოდებზე საუბარს სხვა დროს გავაგრძელებთ...

ნაომი მეორე შვილის დედა გახდა

53 წლის სუპერმოდელი, „შავი პანტერა“ ნაომი კემპბელი მეორე შვილის დედა გახდა. ამის შესახებ პოდიუმის ვარსკვლავმა თავად განაცხადა – სოციალურ ქსელში ფოტო გამოაქვეყნა და დაწერა, რომ უკვე მეორე შვილის, ამჯერად, ვაჟის დედა გახდა.

„როგორი დიდი პატივია, ღვთის საჩუქარია. არასდროს არის გვიან, გახდე დედა. კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჩემო ბიჭო!“ – წერს ბედნიერი სუპერმოდელი.

ნაომიმ პირველი შვილის, გოგონას დაბადების შესახებ საზოგადოებას 2021 წლის მაისში აუწყა. ამჯერად უცნობია, ბავშვი თავად გააჩინა (რაც ნაკლებსავარაუდოა), სუროგატი დედის მომსახურებით ისარგებლა, თუ საერთოდაც, ბიჭი იშვილა. ჯერჯერობით, კემპბელს არც მეორე შვილის სახელი გაუმხელია.

კიბოს უჯრედებს ერთი ინექცია კლავს

მკვლევარებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, ახალი მეთოდიკა შეიმუშავეს, რომელსაც პოტენციურად შეუძლია, წამლის ერთი ინექციით, ადამიანი რამდენიმე სახეობის სიმსივნისგან განკურნოს. ამასთან, ნაკლები გვერდითი ეფექტი გამოიწვიოს. ექსპერიმენტებისას, სწავლულებს ალფა-გამოსხივების მცირე რაოდენობით გამოშვებისთვის საჭირო ნივთიერება შეჰყავდათ თაგვებში. ის კლავდა კიბოს უჯრედებს, მაგრამ არ აზიანებდა ჯანმრთელ ქსოვილებს.

„ცდებისას, ცხოველთა 100%-მდე რაოდენობის გადარჩენა მოხერხდა. ჩვენი ახალი მეთოდის უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია სიმსივნის ბევრი სახეობისას, მიზნობრივი ვექტორების გარეშე, როგორებიც არიან ანტისხეულები ან პეპტიდები“, – აცხადებენ იაპონელი მკვლევარები.

სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათი მეთოდის გამოყენება შესაძლებელი იქნება კიბოს ძალიან ადრეულ სტადიაზე, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტებს ზუსტად არ ეცოდინებათ, სად მდებარეობს სიმსივნური წარმონაქმნი. ამ მეთოდიკის ერთი ვარიანტი უკვე გადის ცდებს, როგორც დიაგნოსტიკის საშუალება უჯრედულ დონეზე.

უცხო ენას ძილშიც ისწავლით

გერმანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ უცხო სიტყვების ეფექტიანად დამახსოვრება ძილშიც შესაძლებელია. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანს, ღრმა ძილის პირველ ფაზაში, შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დამახსოვრება. ამჯერად, მკვლევარებმა გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ, რამდენად ეფექტიანია ძილის დროს უცხო ენის შესწავლა. ექსპერინეტში 30 გერმანულენოვანი ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაც ლაბორატორიაში ეძინათ. სპეციალისტებმა მათი ტვინის აქტივობის შესახებ მონაცემები შეაგროვეს. კვლევისას, ყურსასმენით, მონაწილეებს ერთ ყურში სიტყვას ასმენინებდნენ გერმანულად, ხოლო მეორეში – ამ სიტყვის არასწორ თარგმანს. მოხალისეთა ნახევარს ეს სიტყვები ტვინის აქტივობის პიკების დროს ესმოდა, მეორე ნახევარს კი – დაქვეითების პერიოდში. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩატარდა ტესტი, რომელმაც გამოავლინა, რომ აქტივობის დაქვეითების პერიოდში, ტვინს უკეთ ახსოვდა სიტყვების თარგმნა. სწავლულთა აზრით, ეს ამტკიცებს, რომ ტვინს აქვს უნარი, დაიმახსოვროს ინფორმაცია ძილის დროს, თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს ეფექტი უმნიშვნელოა.

დიაბეტი მილიარდზე მეტ ადამიანს ექნება

სწავლულთა ახალი კვლევები გვაფრთხილებს, რომ 2050 წლისთვის, მსოფლიოში დიაბეტით დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა ერთ მილიარდზე მეტი იქნება. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ დაავადებით განსაკუთრებით დაზარალდებიან ისეთი რეგიონები, როგორებიცაა აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი, თუმცა მსოფლის ბევრ ქვეყანაშიც მნიშვნელოვნად გაიზრდება დიაბეტიანთა რიცხვი. მათი უმრავლესობა მეორე ტიპისა იქნება და მისი ძირითადი რისკ-ფაქტორი ჭარბი წონა იქნება. მკვლევარების განცხადებით, აუცილებელია, ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. მათივე მტკიცებით, დიაბეტის მზარდი ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად, გარემო პირობები უნდა გაუმჯობესდეს.

„დე“-ვიტამინი ინფარქტის რისკს აგარიდებთ

„დე“-ვიტამინს შეუძლია, შეამციროს გულ-სისხძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი 60 წელს გადაცილებულ ადამიანებში. ვიტამინის ეფექტიანობა უფრო იზრდება, თუ ადამიანი საგულე საშუალებებს იღებს. ასეთ დასკვნებს ავსტრალიელი სწავლულები აკეთებენ, რომელთაც ექვსწლიანი კვლევა ჩაატარეს 60-84 წლამდე ასაკის, 21 ათასი ავსტრალიელის მონაწილეობით. აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტის იმ მონაწილეებში, რომლებიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, რეგულარულად იღებდნენ „დე“-ვიტამინს, ინფარქტი 19%-ით ნაკლებად ემართებოდათ, ვიდრე პლაცებოს ჯგუფის მონაწილეებს.

მორფინზე ძლიერი გამაყუჩებელი შექმნეს

მეცნიერები ახალი ტკივილგამაყუჩებლის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც წინასწარი მონაცემების მიხედვით, ტკივილს მორფინზე უკეთესად მოხსნის. ახალი პრეპარატის საფუძველი ლოკოკინების შხამი გახდა. ნივთიერება, რომელიც კონუსური ლოკოკინის შხამში არსებულ უმცირეს ცილაზე შექმნეს, შესაძლოა, მართლაც მორფინზე ძლიერი აღმოჩნდეს. სწალულები იმედოვნებენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ის ახალი პრეპარატის შექმნის საფუძველიც გახდება, რაც მძიმე და ქრონიკულ ნევრალგიებს თავიდან აგვაშორებს.

ავსტრალიის ქვინსლენდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ხუთი ახალი ექსპერიმენტული ტკივილგამაყუჩებლის შესახებ განაცხადეს. კონუსური ლოკოკინები, ძირითადად, თბილ და ტროპიკულ ზღვებში ბინადრობენ, მსხვერპლის პარალიზების მიზნით კი, საკუთარ შხამს იყენებენ. მათ მიერ გამოყოფილი ეს სითხე ასობით პატარა ცილებს – კონოტოქსინებს შეიცავს, რასაც ადამიანებში გამაყუჩებელი ეფექტი აქვს. ამ მომენტისთვის, მის საფუძველზე, მკვლევარები ახალი პრეპარატის შექმნაზე მუშაობენ, რომლის დალევაც შესაძლებელი იქნება. წინასწარი მონაცემებით, წამლის პროტოტიპი უკვე გამოსცადეს ლაბორატორიულ ვირთხებზე და შედეგი დადებითი აღმოჩნდა. მომავალში, თუ კლინიკური ცდებიც წარმატებული აღმოჩნდება, ბაზარზე ყველაზე ძლიერი გამაყუჩებელი პრეპარატი გაჩნდება.

მუსიკალური ფირფიტები ეკოპლასტმასისგან

იტალიურმა სტარტაპმა – Greenyl, მუსიკალური ფირფიტები გამოუშვა ტოქსიკური პლასტმასის, პოლივინილქლორიდის გარეშე. ის გადამუშავებადი პოლიმერით ჩაანაცვლეს. შემდგომში, ეკოლოგიური ფირფიტები მეორადი ნედლეული გახდება, ხოლო ამჟამად არსებულ ფირფიტებს კი, ძირითადად, გასანადგურებლად წვავენ. „მწვანე“ ფირფიტების წარმოება 80%-ით მზის ენერგიაზე მუშაობს. ეს ეკოპროდუქტი 25-30 ევრო ღირს – იმდენივე, რაც ჩვეულებრივი ფირფიტა.

სტარტაპი მომავალში გეგმავს, პროდუქცია ოკეანედან ამოღებული პლასტმასით დაამზადოს. Greenyl-ში დაითვალეს, რომ 2022 წელს, მსოფლიოში 180 მილიონი მუსიკალური ფირფიტა გამოიცა. მათი წარმოებისას გამოყოფილი სასათბურე აირების კომპენსაციისთვის, ყოველწლიურად, 6 მილიონი ხე უნდა დარგონ.

„უჩინმაჩინის“ ლაბადა შექმნეს

ბრიტანელმა სწავლულებმა „უჩინმაჩინის“ ლაბადის პროექტი შექმნეს. ტანსაცმელს შეუძლია, ობიექტი ინფრაწითელი კამერებისთვის უჩინარი გახადოს. სიახლის შემქმნელების თქმით, მათ გააერთიანეს ტექნოლოგიები ფიზიკის, ოპტიკური მასალების, ელექტრონული სისტემების, ინჟინერიისა და საფეიქრო მრეწველობის სფეროებიდან. „ლაბადა-უჩინარის“ პროტოტიპი 42 „პატჩითაა“ აღჭურვილი. მათი მართვა ინდივიდუალურად, მინი-კომპიუტერით შეიძლება. ავტორები ვარაუდობენ, რომ უჩინარი ლაბადა ფართო მოხმარებისთვის გაყიდვაში, დაახლოებით, ხუთი წლის შემდეგ გამოვა.

თანამშრომლებს გრაფიკით გაჩენას მოუწოდებენ

ჩინური სახელმწიფო კომპანიის განცხადებამ „დეკრეტული რიგის“ შესახებ, სოციალურ ქსელში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. საუბარია სუსტი სქესის სამ წარმომადგენელზე, რომელთაც ერთსა და იმავე დროს გადაწყვიტეს ბავშვის გაჩენა. როცა ხელმძღვანელობამ ამის შესახებ გაიგო, ისინი გასაუბრებაზე დაიბარა და დაჟინებით მოსთხოვა, მორიგეობით დაფეხმძიმებულიყვნენ, რათა კომპანიისთვის უხერხულობა არ შეექმნათ. უფროსის თქმით, კომპანიაში პერსონალი ისედაც არ ჰყოფნით. ჯერჯერობით, უცნობია, რა გადაწყვეტილება მიიღეს ქალებმა.

პარალიზებულებს გენური თერაპიით უშველიან

სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები ახალ მეთოდიკაზე მუშაობენ, რომელმაც ზურგის ტვინის დაზიანების მქონე პაციენტებს უნდა უშველოს. ისინი ცდილობენ, ასეთ ადამიანებს ნაწილობრივ მაინც დაუბრუნონ მოძრაობის შესაძლებლობა. ამ მიზნისთვის, ლონდონის სამეფო კოლეჯის მკვლევარებმა გენური თერაპიის გამოყენება სცადეს. მათ წარმატებით გამოსცადეს ეს მეთოდი პარალიზებულ მღრღნელებზე – თაგვებს წინა კიდურების მოძრაობა აღუდგათ. სწავლულების თქმით, თერაპია ორი თვის განმავლობაში გაგრძელდა, რის შემდეგაც მღრღნელებმა წინა კიდურების ამოძრავება შეძლეს. ჯერჯერობით, მკვლევარებს კლინიკური ცდები არ ჩაუტარებიათ, თუმცა იმედოვნებენ, რომ მათი მეთოდიკა დაეხმარება პაციენტებს, რომელთაც მოძრაობის უნარი ზურგის ტვინის დაზიანების შედეგად დაკარგეს. ამ უნარის ნაწილობრივ აღდგენაც კი არსებითად გააუმჯობესებს პაციენტების ცხოვრებას.

უკურნებელი სენი ვარჯიშით დაამარცხა

ლუკ გრენფელ-შოუმ, რომელსაც სიმსივნის „უკურნებელი“ დიაგნოზი დაუსვეს, წარმატებით გაართვა თავი დაავადებას და ახლა, მისი თქმით, თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე ოდესმე. 2018 წელს, როდესაც 24 წლის იყო, ლუკს აგრესიული სარკომის მეოთხე სტადია დაუდგინდა, რომელიც ფილტვებზე იყო გადასული. სარკომა ავთვისებიანი კიბოს იშვიათი ტიპია, რომელიც ძვლებსა და შემაერთებელ ქსოვილებში ჩნდება. ლუკს სჯერა, რომ ფიზიკური ვარჯიშებით დაამარცხა სიმსივნე, რაც წარმოუდგენელი იყო.

„დარწმუნებული ვიყავი, რომ შობამდე მოვკვდებოდი. ახლა, ხუთი წლის შემდეგ რომ ცოცხალი ვარ, ამაზე ოცნებაც არ შემეძლო. თუმცა, ახლა ისეთი ჯანმრთელი ვარ, როგორც არასდროს“, – ამბობს ბედნიერი პაციენტი.

დიაგნოზის დასმის შემდეგ, ლუკს ქიმიოთერაპია, სხივები და ოპერაცია დაუნიშნეს. ეს ყვლაფერი ძალიან მძიმედ გადაიტანა. თუმცა, იმედი არ გადაუწურავს და ნელ-ნელა ფიზიკური ვარჯიშები დაიწყო. „მჯერა, რომ დღეში 20-30 წუთით სიარულმა, როცა ჯერ კიდევ კლინიკაში ვიყავი და მკურნალობის შემდეგ ნახევარსაათიანმა მსუბუქმა ვარჯიშებმა გადამარჩინა“, – ამტკიცებს ახალგაზრდა მამაკაცი.

ცუდი მუშაობისთვის ერთმანეთს ასილაქებენ

ჰონგ-კონგის ერთ-ერთი კომპანიის სამოტივაციო სტრატეგიამ ინტერნეტ-მომხმარებლები შოკში ჩააგდო. ამ ფირმის თანამშრომლებს აიძულებენ, რომ ცუდი მუშაობისთვის, ერთმანეთს სილა გააწნან. Facebook-ის ანონიმურმა მომხმარებელმა გამოქვეყნა პოსტი სადაზღვევო კომპანიაზე, რომელიც დაბალი წლიური მაჩვენებლებისთვის თანამშრომლებს ასე ამცირებს.

კორპორატიულ წვეულებაზე, ათზე მეტი დასაქმებული, რომელთაც დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ, სცენაზე მიიწვიეს და აიძულეს, ერთმანეთისთვის სახეში სილა გაეწნათ. ამ ფაქტით, ღონისძიებაზე დამსწრე თანამშრომლებიც შოკირებულნი იყვნენ. პოსტმა სოციალურ ქსელში დიდი ემოციები გამოიწვია, ბევრი მომხმარებელი დამცირებულ თანამშრომლებს პოლიციაში ჩივილსაც ურჩევდა. „ასეთ მეთოდებს ტოტალიტარულ საზოგადოებაში ვხვდებით და არა – პატივსაცემ კომპანიაშიო“, – წერენ Facebook-მომხმარებლები.

ციფრული დეტოქს-სასტუმრო გახსნეს

ფინელებმა მოიფიქრეს, როგორ აიძულონ ადამიანები, რამდენიმე დღე მაინც იცხოვრონ უტელეფონოდ. ქვეყანაში გაჩნდა კუნძული, ეგრეთ წოდებული, „ციფრული დეტოქსიკაციისთვის“. მოგზაურებს აქ სთხოვენ, ტელეფონები ჯიბეებში შეინახონ და დროებით უარი თქვან სოციალურ ქსელებზე. კუნძულზე მობილური კავშირი მაინც ნებადართულია. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ასეთი ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, ადამიანი თავს უკეთ გრძნობს და მისი ძილის ხარისხიც უმჯობესდება. კუნძული ულკო-ტამიო ფინეთის ყურის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ის მსოფლიოში პირველი, ციფრული დეტოქსიკაციის ტურისტული ადგილია. ტურისტებს შეუძლიათ, ღამე კარვებში გაათენონ, ან პატარა სახლები დაიქირაონ. იქ დასვენებისას, ადამიანები მთლიანად ბუნებაზე გადაერთვებიან და ციფრული სამყაროსგან დაისვენებენ.

სათამაშოები – ბავშვების ნაცვლად

IKEA-ს ფირმის მაიმუნი ყველაზე პოპულარული სათამაშოა ჩინეთის სოციალურ ქსელებში. გავრცელებული ფოტოების მიხედვით, მას ბავშვებისთვის კი არა, მათ ნაცვლად ყიდულობენ. ჩანს, ჩინელებს მეტად შეუყვარდათ სიმპატიური ორანგუტანგი, რომელიც IKEA-ს მაღაზიებში იყიდება და 60-სანტიმეტრიანი, რბილი სათამაშოა. შვედური კომპანიის საიტზე ნათქვამია, რომ „ის შეიძლება ჩამოეკიდოს, როგორც ხეებზე მოხტუნავე ნამდვილი მაიმუნი“. სოციალური ქსელი სავსეა ზრდასრული ადამიანების ფოტოებით, რომელთაც ეს სათამაშო თავისთვის იყიდეს – ამ საყვარელი „პატარას“ ფოტოებს ისევე აქვეყნებენ, როგორც მშობლები – საკუთარი ბავშვებისას. მაიმუნი დაჰყავთ ყველგან, აცმევენ ბავშვივით, აქებენ იმის გამო, რომ „დამჯერია“, კარგად იქცევა და ყოველთვის მზადაა ჩასახუტებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში უკვე მოიხსნა შეზღუდვა შვილების რაოდენობაზე და ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს შობადობის სტიმულირებას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მისი დონე მაინც სწრაფად ეცემა. გასული წლის მონაცემებით, პირველად 60 წლის განმავლობაში, ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. შვილების შენახვის დიდი საფასური, სტრესი სამსახურში, საცხოვრებლის ნაკლებობა და პესიმისტური დამოკიდებულება მომავლისადმი ის ძირითადი ფაქტორებია, რის გამოც ჩინელები დაოჯახებისგან თავს იკავებენ. ამის გამო, ზოგს კატა ან ძაღლი ჰყავს, ბევრმა კი, როგორც ჩანს, ბავშვის ყოლას სათამაშო არჩია.

პოლიციამ „მთვრალი“ ზღარბები გადაარჩინა

გერმანიის ქალაქ ერფურტში, სამართალდამცავებმა ორი ზღარბი „ნაბახუსევისგან“ იხსნა. ადგილობრივი მედიის ცნობით, პოლიციამ უმოძრაოდ მყოფი ცხოველები საბავშვო მოედანზე აღმოაჩინა. ისინი მკვდრები ეგონათ, თუმცა პოლიციელები მალევე მიხვდნენ, რაც საწყალ ზღარბებს სჭირდათ – მათთან ახლოს, ლიქიორის გატეხილი ბოთლი ეგდო. ჩანს, ეკლიანებმა დაღვრილი სასმელი დალიეს და ახლა სიმთვრალის შედეგებს ებრძოდნენ. სამართალდამცავებმა მთვრალი ზღარბები ადგილობრივ ზოოპარკში გადაიყვანეს, სადაც ისინი სპეციალისტებმა „გამოაფხიზლეს“.

ყავა – ცხელი თუ ცივი?

ამერიკელმა სწავლულებმა ჯეფერსონის უნივერსიტეტიდან კვლევები ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ცხელ ყავაში გაცილებით მეტი ოქსიდანტებია, ვიდრე ცივში. ექსპერტები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ყავიდან ყველა „სიკეთის“ მიღება მხოლოდ ნატურალური პროდუქტიდან არის შესაძლებელი. თუ ადამიანს დეპრესიისადმი მიდრეკილება აქვს, ფინჯან ყავას განწყობის გაუმჯობესება შეუძლია. დილიდან ამ ნატურალური სასმელის მიღება არეგულირებს ცირკადულ რიტმებს. ყავის ნებისმიერი ხელოვნური შემცველი კი არც ისე უსაფრთხოა, რადგან მასში საშიში ტოქსიკური ნივთიერებებია. მეცნიერები ყავას ნარკოტიკებსაც ადარებენ – მისი რეგულარული მიღება ააქტიურებს ნერვულ სისტემას და მიჩვევას იწვევს.

მხედველობას ღორის კანის მეშვეობით აღადგენენ

შვედმა სწავლულებმა, ლინკოპინგის უნივერსიტეტიდან, თვალის რქოვანას იმპლანტი ღორის კანისგან შექმნეს. ადამიანისა და ცხოველის კანში რქოვანას ანალოგიური მოლეკულებია. ამიტომ, მკვლევარებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ რქოვანას ქსოვილის ხელოვნური შემცვლელი ღორის კანიდან. ამისთვის მათ ტყავის ნაჭრები იაფი, ნარჩენი პროდუქტისგან აიღეს. სპეციალისტებმა კოლაგენის თავისუფალი მოლეკულების სტაბილიზაციის შედეგად, მყარი და გამჭვირვალე მასალა მიიღეს, რომელმაც შეიძლება თვალში იმპლანტაციას გაუძლოს. დონორის რქოვანასგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ორი კვირა ინახება, ბიოინჟინერული რქოვანას გამოყენების ვადა ორი წელია. ახალი მეთოდის ტესტირებაში 20 პაციენტი მონაწილეობდა ირანიდან და ინდოეთიდან. რვაკვირიანი მკურნალობის შედეგად, თავიდან აიცილეს იმპლანტის მოშორება. ოპერაციიდან ორი წლის შემდეგ, არცერთ პაციენტში გართულებები არ გამოვლენილა.

სიმსუქნის ნამდვილი მიზეზი დაადგინეს

დანიელი სწავლულები დარწმუნებულები არიან, რომ ნახშირმჟავა აირი მსოფლიოში სიმსუქნის ეპიდემიის მთავარი მიზეზია. ასეთ მოსაზრებამდე მკვლევარები ადამიანებზე დაკვირვების შედეგად მივიდნენ. სხვათა შორის, ჭარბწონიანებიცა და გამხდრებიც წონაში პროპორციულად იმატებდნენ. მათი განცხადებით, აშშ-ში, ადამიანები ინტენსიურად სუქდებოდნენ 1986-2010 წლებში, ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ნახშირმჟავა გაზის ყველაზე დიდი კონცენტრაცია იყო დაფიქსირებული. ცხოველებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად, გამოვლინდა კავშირი ამ აირსა და ზედმეტი კილოგრამების „აკრეფას“ შორის. ორექსინები – ჰორმონები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ენერგეტიკულ ხარჯებზე, სიფხიზლესა და მადის სტიმულირებაზე, ნახშირმჟავა გაზის მავნე ზეგავლენას განიცდის. შედეგად, ადამიანი გვიან წვება დასაძინებლად, მერე კი მეტაბოლური პროცესებიც ირღვევა. შედეგი ის არის, რომ ადამიანი აუცილებლად იღებს ზედმეტ კილოგრამებს.

რამდენიმე ფაქტი ჩაის შესახებ

ფაქტი პირველი, გახდომასა და სიმსივნეზე – ჩაისა და ადამიანის ორგანიზმის ურთიერთქმედებებს ათასობით კვლევა ეძღვნება. სწავლულები იმის გაგებას ცდილობენ, როგორ მოქმედებს ეს მცენარე ამა თუ იმ დაავადებაზე, იმაზეც კი, შეიძლება თუ არა ის ოთახის ტემპერატურაზე სპერმატოზოიდების შესანახად გამოვიყენოთ. პასუხი თუ დაგაინტერესებთ, ის დადებითია. კვლევებისას, ჩაის სხვადასხვა სახეობას განიხილავენ (შავი, მწვანე, თეთრი, ულუნი, პუერი), თუმცა ყოველი მათგანი ერთი მცენარისგან – Camellia Sinensis მზადდება, რომელსაც ევროპასა და ამერიკაში ერთი სიტყვა – Tea აღნიშნავს. რაც უფრო ხანმოკლე და მარტივი დამუშავებისაა ჩაი, მით მეტია მასში კატეხინები, რაც ანტიოქსიდანტური თვისებებითაა ცნობილი. ამიტომ, ამ კრიტერიუმით, პირველ ადგილზეა თეთრი ჩაი, მეორეზე – მწვანე, ოოლონგი და შავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის დიდი გამაჯანსაღებელი პოტენციალი აქვს, იმის მტკიცება, რომ მწვანე სასმელი კიბოს აგვაცილებს თავიდან, არ შეიძლება. საამისოდ, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, სწავლულებმა ისიც დაადგნეს, რომ მწვანე ჩაი წონაში მხოლოდ უმნიშვნელოდ მოკლებას უწყობს ხელს. რაც შეეხება გულსისხლძარღვთა დაავადებებს, შავი და მწვანე სახეობა მათ რისკს ამცირებს.

ფაქტი მეორე, კოფეინი ჩაიში – საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მწვანე ჩაიში უფრო მეტი კოფეინია, ვიდრე ყავაში. სინამდვილეში, პირიქითაა – ჩაიში ორჯერ ნაკლები კოფეინია. ერთ ფინჯან მწვანე სითხეში (240 მგ.), ის სულ 40 მგ-მდეა, შავ ჩაიში – 61 მგ-მდე მაშინ, როდესაც ერთი პატარა ჭიქა „ესპრესსო“ 75 მგ-მდე კოფეინს შეიცავს.

ფაქტი მესამე, რკინის შეთვისება – ნებისმიერი ჩაი შეიცავს ტანინებს – ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც ანტიოქსიდანტივით მოქმედებს და ორგანიზმის მიერ რკინის ათვისებას ანელებს. თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს,მოზრდილ ადამიანებში, ჩაის მოხმარების გამო, რკინის ათვისების დაქვეითება არ ახდენს დიდ გავლენას. ეს ეფექტი მინიმუმამდე შეიძლება დაიყვანოთ, თუკი ჩაის მიირთმევთ არა ჭამის დროს, არამედ – კვებათაშორის.

ფაქტი მეოთხე, რევმატული ართრიტის განვითარების შესახებ – ესაა ქრონიკული დაავადება, რაც სახსრების ანთებას იწვევს. საკმაოდ მასშტაბური გამოკვლევებით, რომელშიც 76 ათასი მანდილოსანი მონაწილეობდა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩაი (განსაკუთრებით, დღეში ოთხი და მეტი ფინჯანი) ნამდვილად ზრდის რევმატული ართრიტის განვითარების რისკს 78%-ით. ეს არც ისე დიდი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ თავად დაავადების წილი არც ისე მაღალია და მის თუნდაც ორჯერ გაზრდას კატასტროფულს ვერ ვუწოდებთ. სხვათა შორის, მოწევა ადამიანს უფრო მეტ ზიანს აყენებს.

ფაქტი მეხუთე, საშიში ჩაის შესახებ – მთლიანობაში, რასაკვირველია, ეს სასმელი სასარგებლოა, მაგრამ ნებისმიერი პროდუქტის მსგავსად, ზოგიერთი ადამიანისთვის, შესაძლოა, საფრთხეს წარმოადგენდეს. მწვანე ჩაის მიღებისას, აუცილებლად უნდა გამოიჩინოთ სიფრთხილე, თუ გლაუკომა, დიაბეტი, დიარეა, მაღალი წნევა, ოსტეოპოროზი, გულის დაავადებები, ან ანემია გაწუხებთ. ყურადღება უნდა მიაქციოთ მწვანე ჩაის ანტიბიოტიკებთან ერთად ზემოქმედებასაც. ამ დროს, კოფეინის გამოდევნა ნელდება, რის გამოც თავის ტკივილი, გახშირებული გულისცემა და სხვა გვერდითი მოვლენები იჩენენ თავს. მწვანე ჩაის ისეთ პრეპარატთან ერთად მიღებას, რომელიც თრომბების წარმოქმნას ეწინააღმდეგება (მაგალითად, „ვარფარინი“), შესაძლოა, სისხლდენა მოჰყვეს. საგულე პრეპარატებთან ერთად მწვანე ჩაის მირთმევა გაცილებით მეტ პრობლემებს იწვევს – სისხლის წნევა საშიშ დონემდე იზრდება, რასაც სერიოზული ნეგატიური შედეგი მოსდევს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.